# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



სამშაბათი, 1 თებერვალი, 2005 წელი. №24 (5057) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


ძიუდო

# ათენი თბილისში ლამაზი ფანდების კორიანტელით გაგრძელდა



გრიგოლ მამრიკიშვილი.



ზურაბ ზვიადაური.



ასხაბ კოსტოევი.



ალექსი დავითაშვილი.

ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ცხრა ბრინჯაოს მედალი – ასეთია საქართველოს ძიუდოისტთა ნადავლი, რომელიც მათ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე – მსოფლიო თასის გათამაშებაზე მოიპოვეს. იხ. მე-7 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:


**მთავარია არა ომი, არამედ დიპლომატია**

ნომრის სტუმარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.

მე-2-3 გვ.



**სოფელს მივხედოთ და ვითარებაც შეიცვლება**

როგორც ირკვევა, შესაბამისი კანონი და საკანონმდებლო აქტი, რომელიც გარე ვაჭრობას სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს, დღემდე არ არსებობს.

მე-3 გვ.




რეპლიკა

# რომ ერეკებით, სად ერეკებით?!

**ამ ორი დღის წინათ ფინანსთა სამინისტროსთან მოწყობილი აქციის მონაწილეებს, რომლებიც კოოპერატიულ მშენებლობაში დაბანდებული (უფრო სწორედ, გადაყრილი) თანხების კომპენსაციას მოითხოვდნენ, არავინ გამოეხმაურა. გამწარებულმა „აქციონერებმა“ ჯავრი მოულოდნელად გამოჩენილ თბილისის მერზე იყარეს – უყვირეს, ლანძღეს, ცხვირწინ სულ მუშტები უტრიალეს.**

თანავუგრძნობ...

თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თანაგრძნობის დეფიციტს განიცდიდა. ბატონ ზურაბს თავი ამაყად ეჭირა და მეაქციეებს იქით უტევდა. ყველაფერი ძველი ხელისუფლების ბრალია, მათ ისეთი ქაოსი დაგვიტოვეს, დღემდე თავი ვერ მოვაბით ვალების მოცულობის დადგენას, თორემ ისინი კარგახნის გასტუმრებული გვექნებოდაო.

ყოფილმა ხელისუფლებამ რა მემკვიდრეობა დატოვა, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ არც ის არის დამალული, რაც ახალმა მოიმოქმედა. და სხვა უამრავი. კაცის გაშვება თუ გინდა, მიზეზის მოძებნას რა უნდა!

ვეთანხმები, მაღალი პროფესიონალიზმიც საჭიროა და უპასუხისმგებლო მუშაკის დროულად დათხოვნაც, მაგრამ ერთბაშად ათასი კაცის უმუშევრად დატოვება და ამდენივე ოჯახის გაჭირვებულთა რიგებში გადაბარგება, როგორი რისკია! თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან და სხვა სამინისტროებიდან ამავე მიზეზით გამოთავისუფლებული ათეულ ათასობით ადამიანი ქუჩაში დარჩა, რისკის ფაქტორი ერთიათად იზრდება.

ვის საპირისპიროდ? ცხადია, დღევანდელ ხელისუფალთა საპირისპიროდ. ვფიქრობ, ადვილი დასავიწყებელი არ უნდა იყოს ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა. მე თუ მკითხავთ, ძველ ხელისუფლებას სავარძლები უფრო უმუშევართა და ლატაკთა რისხვამ დააკარგვინა, ვიდრე ოპოზიციის სიძლიერემ. რომ არ ყოფილიყო მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე,



მიუხედავად იმისა, რომ ენერგოავარიები არ შემცირებულა და სინათლე წარამარა ქრება, ხალხი თვალებს მაინც არ იბრმავებს, გაკეთებულსაც მშვენივრად ხედავს და გაფუჭებულსაც. დედაქალაქში ბევრი სიახლე რომ გამოჩნდა, ამას არ უნდა ფიცი და მტკიცი, მაგრამ უმუშევრობა რომ იზრდება, და მასთან ერთად – სიღატაკეც, თბილისის მერს ამაზე რა პასუხი აქვს?

თურმე აქვს. ამას წინათ ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: მერიის აპარატი გადატვირთულია, მალე მუშაკთა ატესტაციას ჩავატარებთ და მას ათასი კაცით შევამცირებთო. მოტივიც აქვს – მომუშავეთა დაბალი პროფესიონალიზმი, უინიციატივობა, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არც რევოლუცია (ვარდებისაც კი) მოხდებოდა. ახალი ხელისუფლება სწორედ ამ ლატაკთა მხრებით მოვიდა და იგი მოვალეა, აყურადებდეს ხალხის მაჯისცემას.

ხალხი კი, რა დასამალია, ნაწყენია. რეფორმების წარმატებული მარში გაჭირვებულთათვის ვერაფერი შეღავათია. ხელისუფლების მაღალჩინოსნები და დეპუტატები უფრო საკუთარი ხელფასების ზრდით არიან გართულნი, მინიმალური ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების ოდენობა კი პურის ფულის ზღვარს ვერ გასცილდა. საზოგადოების დიდი ნაწილი კვლავ დაუსაქმებელი და ბოგანოა.

იხ. მე-2 გვ.

პრემიერ-მინისტრი

# ზურაბ ჟვანია სკანდალს „თითიდან გამოწოვილს“ უწოდებს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, როცა „არმსტრონგ ჰოლდინგი“ და „ASP“ საქართველოს „საზღვაო სანაოსნოს“ ერთობლივ ინვესტორებად გამოაცხადა.**

პრემიერის განმარტებით, საზღვაო სანაოსნო „არმსტრონგ ჰოლდინგმა“ შეიძინა, ხოლო გემების მფლობელი ავსტრალიური კომპანია „ASP“ „არმსტრონგ ჰოლდინგს“ მენეჯმენტის განხორციელებაში დაეხმარება.

პრემიერ-მინისტრმა „ASP“-ს აღმასრულებელი დირექტორის ჯონ ბოუერინის მიერ „არმსტრონგ ჰოლდინგის“ ხელმძღვანელებისადმი მიწერილი წერილი წარმოადგინა, რომლის მიხედვით, „ASP“ „არმსტრონგ ჰოლდინგს“ საქართველოს „საზღვაო სანაოსნოს“ მენეჯმენტში დახმარებას ჰპირდება.

აქედან გამომდინარე, ზურაბ ჟვანია საქართველოს „საზღვაო სანაოსნოს“ პრივატიზებასთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალს უსაფუძვლოს და „თითიდან გამოწოვილს“ უწოდებს.

ავსტრალიური გემების მფლობელ კომპანია „ASP“-ს საქართველოში შპს „საოკეანო სანაოსნოს“ პრივატიზაციაში მონაწილეობა არ მიუღია და არც იმ კონსორციუმში შედის, რომელმაც საქართველოსგან სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სანაოსნო 161 მილიონ დოლარად შეისყიდა. ამ განცხადებას ავსტრალიური გემების მფლობელი კომპანიის ხელმძღვანელი ჯონ ბოუერინი ბრიტანულ გაზეთ „ლოიდს ლისთში“ აქვეყნებს.



ავსტრალიური კომპანიის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ მისი კომპანია დაინტერესებული იყო „საოკეანო სანაოსნოთი“, მაგრამ გასული წლის ბოლოს საკუთარ შესაძლებლობებს გადახედა და სანაოსნოში მოთხოვნილი თანხის სოლიდურობის გამო კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

პრემიერის განცხადებით, გამარჯვებული კონსორციუმი 161 მილიონ დოლარს გადაიხდის, საიდანაც 72 მილიონი სანაოსნოს ვალების დაფარვას მოხმარდება, ხოლო 89 მილიონი პირდაპირ ბიუჯეტში შევა.

საეკლესიო კალენდარი

# ღირსი ანტონ მესვეტე

**1 თებერვალი ღირსი მამა ანტონ მარტომყოფელის (მარტყოფელის) ხსენების დღეა.**

ღირსი ანტონი ცამეტ ასურელ მამასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. წმიდა იოანე ზედაზნელის კურთხევით ანტონი კახეთში დამკვიდრდა საქადაგებლად.

მადლმოსილმა ლოცვამ და სასწაულებმა უამრავი ხალხი მიიზიდა, ანტონმა მათთვის ეკლესია ააშენა ალაზნის გაღმა, თვითონ კი მივარდნილ ადგილას დაეყუდა სამოღვაწეოდ. იგი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, დღე და ღამე ლოცულობდა მის წინ და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ავედრებდა უფალს.

მარტომყოფელ ბერს, რომელიც ბალახებით და ხის ქერქით საზრდოობდა, უფალმა საზრდოს მისაცემად ირმები გამოუგზავნა და ამიერიდან მათი რძით იკვებებოდა.

წმიდა ანტონმა მთის მწვერვალზე ააშენა სვეტი, დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თვრამეტი წელი. ღირს მამას წინასწარ ეუწყა უფლისგან გარდაცვალების დღე, მან დაიბარა მოწაფეები, დაარიგა ისინი, აკურთხა, თვითონ კი ხატის წინ დაჩოქილი აღესრულა.



ღირსი ანტონის გვამი სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს ღვთისმშობლის ხატის წინ.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ.**

ინფორმაცია

### საქართველოში ლავროვის ვიზიტი იგეგმება

**საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მიიღო.**

როგორც ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, შეხვედრაზე განხილული იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების შემდგომი პერსპექტივები. საუბარი შეეხო ასევე გელა ბეჟუაშვილის მოსკოვში ვიზიტის შედეგებს, რომელიც გასულ კვირას გაიმართა.

ელჩის თქმით, საუბრის თემა იყო ასევე საქართველოში ქართულ-რუსული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის პერსპექტივები და საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტი, რომელიც 18 თებერვლისთვის იგეგმება.

### სესხის გაცემა თებერვლიდან დაიწყება

**„შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან“ მიღებული 5 მილიონდოლარიანი კრედიტით, „პროკრედიტ ბანკი“ მცირე და საშუალო ბიზნესს დააფინანსებს.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „პროკრედიტ ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა განაცხადა, მისმა ბანკმა „შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან“ 5 მილიონი დოლარის საკრედიტო ხელშეკრულება მიმდინარე წლის 10 იანვარს გააფორმა. საკრედიტო ხაზი ორი წლის ვადით გაიხსნა და გამიზნულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დასაფინანსებლად.

– ახალი ფინანსური რესურსებით აღნიშნული ხაზი მრავალ მცირე და საშუალო ზომის საწარმოს დაეხმარება განვითარებაში და საქმიანობის გაფართოებაში, რაც ასე საჭიროა დღევანდელ საქართველოში, – განაცხადა ბანკის გენერალურმა დირექტორმა. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სესხების გაცემას ბანკი თებერვლიდან დაიწყებს.

### გრანტი სოციალური პროგრამებისთვის დაიხარჯება

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გამოყოფილი 9 მილიონდოლარიანი გრანტი სოციალური პროგრამებისთვის დაიხარჯება. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა.**

**მისი თქმით, 9 მილიონი დოლარი იმ 40 მილიონ დოლარიანი საგრანტო პროგრამის პირველი ტრანშია, რომელიც საქართველოს მთავრობას გამოეყო. აღნიშნულ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტი 2010 წლამდე მიიღებს.**

**– პირველი ტრანში სახელმწიფო ბიუჯეტში ახალი სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის გაიწერა. კერძოდ, აღნიშნული თანხით დაფინანსდება სიღარიბის დაძლევის ახალი პროგრამა, რომელიც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაწევას ითვალისწინებს, – განაცხადა ნოღაიდელმა.**

**მისი თქმით, გრანტით ფინანსდება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში პენსიების 14-დან 28 ლარამდე გაზრდა. ამასთან, გამოყოფილი თანხით დაგეგმილია სტუდენტური ვაუჩერების პროგრამის დაფინანსებაც.**

ინტერ-პრესი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილს ნობელის პრემიის მიღებაში ხელს უშლიან

მიხეილ ვიგნანსი, „ვრემია ნოვოსტეი“. 31 იანვარი.

ВРЕМЯ

**აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო შეაჯამებს რეზერვისტთა სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმებისთვის განკუთვნილი წვრთნის შედეგებს. ეს მანევრები გასულ კვირას გაიმართა და დაემთხვა იმ პერიოდს, როცა სტრასბურგში, საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. თავის სიტყვაში სააკაშვილი შეეხო საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებს.**

ევროპელ პარლამენტართა ყურადღება საქართველოს პრეზიდენტმა მიაპყრო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, სადაც „ოსები და ქართველები ცხოვრობენ გვერდიგვერდ და ერთმანეთის პატივისცემით“, და „გაცილებით მეტია ურთიერთმოქმედების პოტენციალი“. ხოლო აფხაზეთში, საიდანაც „სეპარატისტებმა გამოდევნეს 300 ათასი ეთნიკური ქართველი“, სააკაშვილის თქმით, ვითარებას „ართულებს ისიც, რომ აფხაზი სეპარატისტები უარს აცხადებენ მოლაპარაკებაზე“. „საჭიროა დავადგინოთ კონფლიქტების მოგვარების გარდამავალი პერიოდი, რომელიც დაახლოებით სამ წელიწადს შეადგენს“, – შეაჯამა შედეგები საქართველოს პრეზიდენტმა.

მოგვიანებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ დააზუსტა, რომ „საქართველო მზად არის გამართოს მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, თუ სოხუმის ხელისუფლება აღიარებს ქართველების ეთნიკური წმენდის ფაქტს და გამოთქვამს მზადყოფნას აფხაზეთის ყველა რაიონში ლტოლვილების უპირობო დაბრუნების პროცესის დაწყებისთვის“. როგორც ჩანს, თბილისში მიაჩნიათ, რომ მთავრობის მიერ გაკეთებული მკვეთრი განცხადებები მოახდენს ზემოქმედებას თვითაღიარებული რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტზე სერგეი ბაღაფშზე, რომელიც მოვალეობის შესრულებას 12 თებერვლიდან შეუდგება.

იხ. მე-2 გვ.


# შპს „მაგთიკომი“

# MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომი“ თავის საქმიანობაში იცავს აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2005 წლის იანვარში შპს „მაგთიკომის“ ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა **4,009,093.40 ლარი.**

ხოლო კომპანიის არსებობის 9 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – **224,327,115 ლარი.**

| | 2005 წლის იანვარი |
|---|---|
| საქართველოში მომუშავე უცხოელ იურიდიულ პირთა შემოსავლის დაბეგვრა 10% | 31,976.18 |
| დღგ | 3,187,221.50 |
| მოგების გადასახადი | |
| საშემოსავლო გადასახადი | 148,854.93 |
| ქონების გადასახადი | |
| ქონების გადაცემისათვის გადასახადი | 1,900.00 |
| ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი | |
| საგზაო ფონდი | |
| სოციალური გადასახადი | 261,700.00 |
| საბაჟო გადასახადი | 130,363.79 |
| დარიცხული პროცენტების დაბეგვრა | |
| რეკლამის გადასახადი | 77,550.00 |
| ადგილობრივი მოსაკრებლები | 200.00 |
| საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია | 169,327.00 |
| [redacted] | 4,009,093.40 [redacted] |

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 558 თანამშრომელი.

შპს „მაგთიკომი“ მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს)-ის მიხედვით.

**დევიდ ლი,** გენერალური დირექტორი.


## ინტერპანორამა

**ბაღდადის ცენტრში სურთ ძეგლის დადგმა ჯორჯ ბუშისთვის. ამ ინიციატივით გამოვიდა ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი ალი ფედელი. „ჩვენ მადლობელი ვართ ამერიკელი ჯარისკაცებისა იმისთვის, რომ მათ ჩვენი ქვეყანა ტირანიისგან იხსნეს“, – თქვა ფედელმა, – ჩვენ დავდგამთ ბუშის ქანდაკებას, ეს ჩვენთვის თავისუფლების სიმბოლოა“.**



**ჩინეთში რკინიგზელმა ხუანგ იაჟოუმ ბაზარში იყიდა ქათამი, რომელმაც ორი თვის შემდეგ კოვზის ფორმის კვერცხის დადება დაიწყო. რამდენადაც ცნობილია, აქამდე ასეთი კვერცხი არავის უნახავს.**



**უკრაინის გენერალური პროკურატურა თხოვს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეწყვიტოს „უკრაინის ერთიანი ენერგეტიკული სისტემების“ კორპორაციის ხელმძღვანელების ევგენი შაგოს, ლიდია სოკოლჩენკოს და ალექსანდრე ტიმოშენკოს ძებნა მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტის გამო.**

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

◉ პოლიტიკა

# მთავარია არა ომი, არამედ დიპლომატია



(პირველი გვერდიდან)

## ნომრის სტუმარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი

**საქართველო თავისი განვითარების მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ამიტომაც შინაური თუ გარეული კრიტიკითა და გამომცდელი თვალით უყურებს სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირთა ყოველ გადადგმულ ნაბიჯს. ამ პოლიტიკურ პროცესებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საგარეო საქმეთა სამინისტროს, რადგან გამართული პოლიტიკური დიპლომატია ახლა ჰაერივით სჭირდება ქვეყანას...**

**საგარეო უწყების მუშაობის ძირითად პრიორიტეტებზე, ნატოსა და ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის საკითხებზე, ასევე რეგიონალური თანამშრომლობის პოლიტიკაზე დღეს გვესაუბრება საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი:**

**– საგარეო** საქმეთა სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტები ორ ნაწილად იყოფა. ერთია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, რომლებზეც ერთად უნდა ვიმუშაოთ სხვა უწყებებთან, პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან ერთად და არის მეორე – სამინისტროს შიდა მუშაობის პრიორიტეტები.

**– მაშინ ჯერ პირველით დავიწყოთ...**

– ასე სჯობს. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა საკმაოდ ნათელია, რადგან ძირითადი პრიორიტეტები უკვე გამოცხადდა პრეზიდენტის მიერ და ძალაში რჩება. ესენია საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, ამერიკასთან ჩვენი პარტნიორობის გაგრძელება-გაღრმავება და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება. ეს ძირითადი მიმართულებებია და არ იცვლება, მაგრამ წლეულს ვაპირებთ სამივე პრიორიტეტის აქცელერაცია მოვახდინოთ, რომ საქართველომ უფრო სწრაფი ნაბიჯები გადადგას მომავლისკენ, განახორციელოს შიდა რეფორმები და შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც აღებული აქვს ნატოს მიმართ.

მეორე მიმართულებაა ევროკავშირთან ურთიერთობაში ახალ ეტაპზე გასვლა. ჩვენ უკვე მივიღეს „ახალი მეგობრობის ინიციატივაში". ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ წლეულს, მარტის ბოლოს ევროკავშირმა შეიმუშაოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მიღების შესახებ. ეს გეგმა კი ჩვენთან ერთად უნდა შემუშავდეს.

**– და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, რა მოხდება შემდეგ?**

– წლის ბოლოსთვის, დეკემბერში მინისტრთა საბჭო რომ შეიკრიბება ინგლისში, უნდა მიიღონ ეს ჩვენი სამოქმედო გეგმა და მერე კი, უკვე 2006 წლიდან გადავდივართ ამ გეგმის შესრულების ფაზაში. უკვე შეიქმნა ახალი „მეგობართა ჯგუფი", რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შევურჩიეთ სახელწოდება და რომელშიც გაერთიანებული არიან ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, რუმინეთი, ბულგარეთი და პოლონეთი. მათ ჩვენთან ერთად მოაწერეს ხელი დოკუმენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ დახმარებას ევროინტეგრაციის მიმართულებაში. ეს არის მეგობართა პირველი წრე.

თებერვლის დასაწყისში თბილისში ჩამოვლენ ამ ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები, რათა ჯგუფის მუშაობის მთავარი მიმართულებები ერთად განვსაზღვროთ.

**– რას ნიშნავს მეგობართა პირველი წრე?**

– არის მეორე წრეც, ანუ სხვა ევროპული ქვეყნები, რომლებთანაც გვაქვს გარკვეული კავშირები და მათთანაც უნდა გადავწყვიტოთ, თუ რაში და როგორ დაგვეხმარებიან ჩვენი სამოქმედო გეგმის ჯერ მოსამზადებლად, და შემდეგ – შესასრულებლად.

სწორედ ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი წაიღებს ჩვენი ენერგიის უმეტეს ნაწილს, შემდეგ მოდის ამერიკა და მერე – რუსეთი. ჩვენთან ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა უკვე ცნობილია, გამართულია. ახლა გადავდივართ სამხედრო მომზადების ახალ ეტაპზე. იწყება ახალი პროგრამა ახალი დაფინანსებით ამერიკის კონგრესისგან.

**– როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობებს?**

– რუსეთთან ურთიერთობა, მოგეხსენებათ, უფრო რთული და პრობლემურია. რამე პროგრესი აღსანიშნავი არც არის, მაგრამ მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული წინადადებები, თუ როგორი ელემენტებისაგან უნდა შედგეს პირველადი დოკუმენტი – ჩარჩო-ხელშეკრულება და რა უნდა ახლდეს თან. არ შეიძლება, რომ მარტო ამ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მოვაწეროთ ხელი, რომელიც ფორმალური დოკუმენტია... კონკრეტულ პრობლემებზე უნდა იყოს მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკება უნდა იყოს გვირგვინი, სიმბოლო ჩვენი შემდგომი ურთიერთობებისა, ახალი ეტაპის დასაწყისისა.

რუსეთთან უნდა მივაღწიოთ პროგრესს სამხედრო საკითხებზე, უნდა ვხედავდეთ წინსვლას და არა ისეთ „დაბლოკვას", როგორიც დღეს არის. უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები დემილიტარიზაციაზე, რომელიც სამი წელია შეწყვეტილია და საქმე ადგილიდან არ იძვრის. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დროს დავიწყოთ რუსებთან აქტიური მუშაობა. ეს აუცილებელია ნებისმიერ მეზობელ ქვეყანასთან, მით უმეტეს რუსეთთან, რადგან თუ შენი საზღვარი დაცული არ არის, თუ არის პრეტენზიები ტერიტორიებზე, იმაზე, რომ საზღვარზე გადიან და გადმოდიან ტერორისტები... ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ, რადგან ელემენტარულად, არ არის მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, თუ სად გადის რუსეთ-საქართველოს საზღვარი. ამ კუთხით ჩვენ ახლა ვდგამთ ურთიერთობების პირველ ნაბიჯებს.

იხ. მე-3 გვ.

◉ პრეზენტაცია

## ლობისტები ფარდის უკან აღარ დაიმალებიან

**მას შემდეგ, რაც საქართველოში საპარლამენტო ცხოვრება დაიწყო, სხვადასხვა წლებში არაერთხელ გაგვიგონია (ისე ფარულად, ყურში ჩაჩურჩულებით), ამ კანონს ესა და ეს ბიზნესმენი ლობირებს და ვინ იცის, ამ საქმეში რამდენი ათასი გადაიხადაო. ეს მართალი იყო თუ ტყუილი, ღმერთმა განსაჯოს, მაგრამ ეჭვები ნამდვილად იყო.**

ეს თემა საინტერესო და ყურადსაღები გახდა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციისთვის, საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის მესვეურთათვის, ამერიკის სავაჭრო პალატისთვის. მათი თაოსნობით სასტუმრო „თბილისი მარიოტში" ამ თემით დაინტერესებულმა 120-ზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი.

აქ იყვნენ კერძო სექტორის, ბიზნესასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილთ ისაუბრეს სამოქალაქო ინტერესების დაცვისა და ღია ლობირების მნიშვნელობაზე, საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ინტერესების დაცვის სტრატეგიაზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ლობირების ეფექტური მექანიზმისა და ტექნიკის შემუშავებაზე. ჩინოვნიკებმა კი განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ბიზნესთან ხელისუფლების ურთიერთობას.

შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომელსაც საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე უძღვებოდა. ქართული კორუფციის ხანგრძლივმა ისტორიამ ისეთი პოლიტიკური გარემო შექმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უნდობლობა და ეჭვიანობა – თქვა მან – ამიტომაც ლობისტთა საჯარო რეესტრი საზოგადოებას აძლევს საშუალებას, იცოდნენ რომელი ორგანიზაცია რა კანონს ლობირებს. რეგისტრირებულ ლობისტს შეუძლია დაესწროს ღია და დახურულ საპარლამენტო სხდომებს, შევიდნენ ნებისმიერ სამინისტროში, მერიაში, მათ აგრეთვე აქვთ საშუალება, მოიპოვონ უახლესი ინფორმაცია კანონპროექტზე, მისი განხილვის თარიღზე და სხვ.

ბოლოს ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ყველა მონაწილეს დაურიგდა საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის მესვეურების მიერ მომზადებული სახელმძღვანელო – „ურთიერთობები საქართველოს ხელისუფლებასთან; სახელმძღვანელო ბიზნესასოციაციებისთვის", რომელშიც აღწერილია საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ინტერესების დაცვისა და ლობირების ტექნიკა, რაც საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკას შეესატყვისება.

**ლალი ქინქლაძე.**

◉ ინფორმაცია

## კადეტთა კორპუსში კვლავ მღელვარებაა

**საქართველოს** თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა სახელმწიფო კანცელარიისთან საპროტესტო აქცია გამართეს.

ამის მიზეზი გახდა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, რომლის თანახმად, კადეტთა კორპუსს სასწავლო პროცესი უნდა განეახლებინა. სწავლა გუშინაც არ აღდგენილა.

სასწავლებლის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არ მიუღია ოფიციალური ბრძანება, რომლის საფუძველზეც კადეტთა კორპუსმა ფუნქციონირება უნდა განაახლოს. შესაბამისად, სასწავლებლის დაფინანსების საკითხი მოუგვარებელია, დაუფინანსებლობის გამო კი კადეტთა კორპუსის ხელმძღვანელობა კადეტების გამოკვებას ვერ ახერხებს.



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ 26 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ხელისუფლება შესაბამის თანხებს გამოყოფდა და კადეტთა კორპუსის მოსწავლეები მიმდინარე წელს სასწავლო პროცესს დაასრულებდნენ. ჟვანიას განცხადებით, მას დაუშვებლად მიაჩნია შუა სასწავლო პროცესში მოსწავლეების ქუჩაში დატოვება. ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერმა განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას გარკვეული მითითებები მისცა.

ამ უკანასკნელმა გუშინ განაცხადა, რომ კადეტთა კორპუსში სწავლა ხუთშაბათს განახლდება, ახალ ნაკადს კი არ მიიღებენ.

## დამტკიცებულია სპეციალური სამსახურის დებულება

„**სადაზვერვო** საქმიანობის შესახებ" კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დებულება დაამტკიცა.

დებულების თანახმად, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებაა. ეს ორგანო, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და გარემოსდაცვით სფეროებში სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს. გარდა ამისა, ის აწარმოებს კონტრდაზვერვით საქმიანობას საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მივლინებაში მყოფი საქართველოს იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან.

საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების გასამხედროებული დაწესებულებაა, რომელიც ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე. სამსახურის საქმიანობაზე ზედამხედველობას პირადად პრეზიდენტი ახორციელებს.

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" კანონი და სხვა კანონები.

## დაუსჯელი არავინ დარჩება

**ზუგდიდის** რაიონის სოფელ შამგონაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავამ. მისი განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის უკვე ცნობილია ის დაჯგუფება, რომელმაც ქართველ პოლიციელებზე ვერაგული თავდასხმა განახორციელა და „და-



უსჯელი არავინ დარჩება". ამასთან, რწმუნებულის განცხადებით, საგუშაგოებზე კონტროლი გამკაცრდება და მდინარე ენგურთან საზღვარი უფრო ინტენსიურად გაკონტროლდება.

რაც შეეხება დაჭრილების მდგომარეობას, უგულავას მონაცემებით, თავდასხმის დროს დაჭრილი ერთ-ერთი ქართველი პოლიციელი ჯერ კიდევ მძიმედ არის და ახლობლები მის თბილისში ტრანსპორტირებას ითხოვენ.

გიგი უგულავამ მკაცრი განცხადება გააკეთა კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მისამართით. „რა აზრი აქვს რუსი სამშვიდობოების ყოფნას კონფლიქტის ზონაში, თუ მათი საგუშაგოდან 20 მეტრში მსგავსი თავდასხმები ხდება?!" - აღნიშნა მან.

„ინტერ-პრესი"

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილს ნობელის პრემიის მიღებაში ხელს უშლიან

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

მიხეილ ვიგნანსი, 31 იანვარი.

(პირველი გვერდიდან)

სტრასბურგში მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოყალიბებული თეზისები სოხუმში აღიქვეს, როგორც ომისთვის მზადება. გადაწყდა, რომ მიმდინარე წელს აფხაზთა ხუთიათასიანი არმია მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. „არ ღირს ჩვენთან უხეში ლაპარაკი, – განუცხადა „ვრემია ნოვოსტეის" აფხაზთა ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. – სწორედ საქართველომ წამოიწყო ჩვენს წინააღმდეგ ომი 1992 წელს და ამიტომაც მიიღო კიდეც ლტოლვილები. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისთვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ კეთილ მეზობლობას. თუ ისინი არ დათანხმდებიან მოლაპარაკებას, ჩვენ ამაზე მხოლოდ მადლობას ვიტყვით, რადგან ეს თავიდან აგვაშორებს რაიმე პრობლემების განხილვას".

სამხრეთ ოსეთს მიხეილ სააკაშვილი დაპირდა მეტ უფლებებს, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთს აქვს ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში. საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა სამხრეთ ოსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისა და კონფლიქტის წლებში დაკარგული სახლებისთვის კომპენსაციების გადახდის შესახებ. თბილისი იტოვებს თავდაცვის, საზღვრების დაცვის, ერთიანი ვალუტისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტის უფლებას.

მაგრამ ცხინვალში მიაჩნიათ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ამ ინიციატივების უკან იმალება სამხრეთ ოსეთზე შეიარაღებული თავდასხმის ლეგალიზების მცდელობა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გამოეხმაურება სამშვიდობო გეგმას. თანაც, როგორც ოსები ამტკიცებენ, ეს შესაძლებელია უკვე მოხდეს მიმდინარე წლის მარტში ან აპრილში. გასული უქმე დღეების განმავლობაში სამხრეთ ოსეთში იმართებოდა მიტინგები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები, რომლის მონაწილეებიც აკრიტიკებდნენ სტრასბურგში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას.

◉ ინფორმაცია

## ბასილ მკალავიშვილს 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**ვაკე-საბურთალოს** რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გლდანის ეპარქიის წინამძღვარს ბასილ მკალავიშვილს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა მკალავიშვილის მრევლის წევრს პეტრე ივანიძეს, მრევლის კიდევ ერთ წევრს მერაბ კოროშინაძეს – ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.



დღესვე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის მრევლის ოთხი წევრი – ავთანდილ გაბუნია, მიხეილ ნიკოლოზიშვილი, ავთანდილ ჯანაძე და აკაკი მოსეშვილი. მათ სასჯელის ზომად პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.

## ირანთან თანამშრომლობა ღრმავდება

**საქართველო** და ირანის ისლამური რესპუბლიკა 2005-2007 წლებში ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავენ. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ ჟურნალისტებს ირანში ვიზიტის შედეგები გააცნო, რომელიც 14-19 იანვარს გაიმართა.

კიკნაძის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ირანის სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ირანის ვიცე-პრეზიდენტთან, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის თავმჯდომარესთან მარაშისთან ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

„ტურიზმის სფეროში ხელმოწერილი შეთანხმება ჟურნალისტთა და ტუროპერატორთა გაცვლითი ტურების მოწყობას, ტურიზმში დასაქმებული სპეციალისტების სასწავლო და სტაჟირების კურსებზე მიწვევას ითვალისწინებს"- აღნიშნა კიკნაძემ.

მისივე ინფორმაციით, ირანის მხარე გამოხატავს მზადყოფნას, საქართველოს მოქალაქეებისათვის ირანში შესასვლელი ვიზის ღირებულება შეამციროს, თეირანი-თბილისი-მოსკოვის და მოსკოვი-თბილისი-თეირანის საჰაერო რეისები დაინიშნოს და სასტუმრო ბიზნესში ინვესტიციები დააბანდოს.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობას, დაგეგმილია დაბალპროცენტიანი სესხის გამოყოფა, რომელიც 2005-2008 წლებში საქართველოს ისტორიული ძეგლების კონსერვაციას, რესტავრაციას და აღდგენით სამუშაოებს მოხმარდება.

„ინტერ-პრესი"

◉ რეპლიკა

## რომ ერეკებით, სად ერეკებით?!

(პირველი გვერდიდან)

და ასეთ დროს ქალაქის მერი დამატებით კიდევ ათასი კაცის უმუშევრად დატოვებას აპირებს. იქნებ მას აქვს პროგრამა, რომელიც ამ ხალხის პროფესიის შეცვლას, გადამზადებას და სხვა სამუშაოზე გამოყენებას ითვალისწინებს? ან იქნებ თბილისში ახალი საწარმოები და კომპანიები ამუშავდა, სადაც უმუშევრები უკლებლივ დასაქმდებიან? რატომღაც ამის თაობაზე ბატონ ზურაბს არაფერი უთქვამს.

არც რომელიმე მინისტრს, როცა რეფორმების წყალობით სამინისტროს მუშაკთა უმეტესობას უსაქმოდ ტოვებს. სამინისტროები უმეტესად მოტესტე ყმაწვილებით ივსება, ქუჩები კი – იქიდან გამოყრილი პროფესიონალებით.

დაუსაქმებელი ხალხით რომ სიდუხჭირეს ვერ დააჩოქებ და ვერც ეკონომიკას მოასულიერებ, ამის მტკიცებას არ ვაპირებ. უბრალოდ დედაქალაქის მერსა და მინისტრებს მინდა ვკითხო: ბატონებო, სამუშაოდან ამდენ ხალხს რომ ერეკებით, იქნებ გვითხრათ, სად ერეკებით?!

**ოთარ ხუციშვილი.**

◉ გაზეთი და მკითხველი

## შემოვიარე საჯიხურეთი...

**გაზეთის გულშემატკივრობამ ბარე ხუთი პრესის ჯიხური შემომატარა ჩემი საცხოვრებელი ადგილის ახლო-მახლო (დიღმის მასივში). მაინტერესებდა „საქართველოს რესპუბლიკაზე" მოთხოვნის სურათი.**

„პლანეტა ფორტე", № 36, ნათელა ბარნოვი:

– ორ ცალს ვიღებ, ხან მეყიდება, ხან – არა.

„ინფოსერვისი", № 72, თამარ დაღუნდარიძე:

– კვირაში სამჯერ მივდივარ და ორ-ორი ცალი მომაქვს, მეყიდება კიდევაც. სისტემატურად მოტანას, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ ვახერხებ.

– „მაცნე", № 356, გულიკო ქირია:

– ოთხი ცალი შემოდის და ოთხი მუდმივი კლიენტი მყავს – სისტემატურად მიაქვთ.

დამაინტერესა, თუ იცოდა ქალბატონმა გულიკომ, რა პროფესიისა და, საერთოდ, ვინ არის ის ოთხი ერთგული მკითხველი, მაგრამ მეჯიხურემ ეს „ფირმის საიდუმლოებად" ჩათვალა და არ გამანდო...

ექსტრაპოლიციის მეთოდს თუ მივმართავთ, დიღმის მასივის სურათის მიხედვით მთელ ქალაქშიც არ უნდა იყოსურიგო მდგომარეობა...

ქალბატონმა გულიკომ კი დამიმალა, მაგრამ მეორე დილით მეც „დავიმალე" ჯიხურთან და „საქართველოს რესპუბლიკის" ერთ-ერთ მყიდველს „პოსტ-ფაქტუმ" გამოველაპარაკე – რასაკვირველია, შესაბამისი მობოდიშებით წარვუდექი და წარმომიდგა. ვკითხე და მიპასუხა, დავემშვიდობე და დამემშვიდობა...

სახელ-გვარად კლიმენტი ჯანყარაშვილი გამოდგა, პროფესიით – ინჟინერ-ეკონომისტი, სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობით – რომ არავის შეჰხვეწია, ისე პენსიაზე გაშვებული (ღმერთმანი, პენსიონერისთვის ახალგაზრდად და ყოჩაღად გამოიყურებოდა).

... დიახაც „საქართველოს რესპუბლიკის" ერთგული მკითხველია, ნიადაგ მყიდველი და ლამის „ანიდან" „ჰაემდე" წამკითხველი. მოსწონს, რომ გაზეთმა „პოსტრევოლუციუმ" სწორი გეზი აირჩია, გვერდით დაუდგა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ მარტო „მუსიკითა და ყვავილებით" კი არა, არამედ საღი, პირუთვნელი განსჯა-მიდგომით, შეცდომებისა თუ გადაცდომების თვალდაუხუჭაობითა თუ წაუყრუებლობით, მოსწონს, რომ შუქდება ქვეყნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამდენი სფერო – ეს პოლიტიკაო, ეს ეკონომიკაო, ეს ჯარიო, მერე ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა, მეცნიერების მიმართ გამორჩეული ყურადღება, ახალი სახეები, ძველი სახეები, ჩვენებურები, შინაურები, გარეულები, „ინაურები, ჩქარეულები"... რაღა მეთქმოდა – „ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა მკითხველებით" დავშორდი...

**თამაზ ებანოიძე.**



◉ უცხოური პრესიდან

## სენატორი მაკკეინი მოუწოდებს ამერიკას, თავი შეიკავოს ირანში ძალის გამოყენებისგან

### და გმობს პუტინის მცდელობას რუსეთის კონტროლის ქვეშ შეინარჩუნოს უკრაინა და საქართველო

FT.com FINANCIAL TIMES

კრიშნა გუჯა, ანდრიუ ჰოუერსი, დემეტრი სევასტოპულო.



**გავლენიანი ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი შეუერთდა რესპუბლიკური პარტიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ილაშქრებენ ირანში ძალის გამოყენების წინააღმდეგ, და განაცხადა, რომ ამერიკას არ სურს აწარმოოს ერთბაშად „ორი ომი".**

ძალის გამოყენება არ შეიძლება მთლიანად გამოირიცხოს როგორც უკიდურესი საშუალება ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა იყოს ირანში, თქვა სენატორმა და იქვე დასძინა: „არა მგონია, რომ ძალის გამოყენებამ წარმატება მოგვიტანოს. არ არის იმის გარანტია, რომ ჩვენ ვიპოვით ყველა ამ ბირთვულ ობიექტს. თუ ირანს მივაყენებთ დარტყმებს და დავუტოვებთ ბირთვულ იარაღს, მაშინ ეს უმძიმეს პრობლემებს შეგვიქმნის".

რესპუბლიკელმა მაკკეინმა, სენატის შეიარაღების საქმეთა კომისიის გავლენიანმა წევრმა გამოთქვა იმედი, რომ კრიზისი, რომელიც სულ უფრო მეტად ღრმავდება, შესაძლებელი იქნება მოგვარდეს შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დიპლომატიური ძალისხმევით.

მაკკეინმა, აგრეთვე გამოთქვა კრიტიკა პუტინის ხელისუფლების მზარდი ავტორიტარიზმის გამო. მან განაცხადა, რომ შესაძლებელია „რუსეთში მოხდეს „მცოცავი გადატრიალება", რადგან ქვეყანაში თანდათანობით სპობენ დემოკრატიას". მან მოუწოდა „რვა დიდი ქვეყნის" ლიდერებს, განუცხადონ პუტინს, რომ „რუსეთი არასასურველი სტუმარი იქნება „რვა დიდი სახელმწიფოს" შეხვედრებზე მანამ, სანამ იგი არ გადაუხვევს ამჟამინდელი კურსიდან".

ამერიკის შეერთებულ შტატებს და რუსეთს აქვთ მნიშვნელოვანი საერთო ინტერესები, ამიტომ ამერიკელები ინარჩუნებდნენ ურთიერთობას პუტინთან. მაგრამ პუტინის ქცევამ „აუცილებლად უნდა შეცვალოს ატმოსფერო".

მაკკეინმა აღნიშნა, რომ დავოსში შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და აპირებს ასევე შეხვდეს უკრაინის ახალ პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს. ორივე ეს ადამიანი პროდასავლურად განწყობილი ლიდერები არიან, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვონ რუსეთისგან. მაკკეინმა ასეთი განცხადება გააკეთა იმის მიუხედავად, რომ ამან შესაძლოა მოსკოვის დიდი უკმაყოფილება გამოიწვიოს. სხვათა შორის, პუტინიც მიწვეული იყო დავოსში, თუმცა, მან უარი განაცხადა შვეიცარიაში ჩასვლაზე.

სენატორმა მკაცრად დაგმო პუტინის მცდელობა, შეინარჩუნოს რუსეთის გავლენა უკრაინასა და საქართველოზე: „საქართველოში რუსეთის ბაზების შენარჩუნებისთვის გამიზნული ასეთი პოლიტიკა, უბრალოდ, დიდი სისულელეა". გარდა ამისა, დასძინა სენატორმა, პუტინი მხარს უჭერს ბელორუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს, იგი კი „ნამდვილი ბანდიტია".

ინფორმაცია

## სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა და ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს შორის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის კიოტოს ოქმის განხორციელებისთვის თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

გლობალური დათბობის შედეგად კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციას მსოფლიოს ქვეყნების მეთაურებმა 1992 წელს მოაწერეს ხელი. საქართველო მას 1994 წელს შეუერთდა. 1997 წელს კი მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს კლიმატის ცვლილების კონვენციის კიოტოს ოქმი, რომელსაც საქართველო 1999 წელს შეუერთდა.

კიოტოს ოქმით განისაზღვრა „სუფთა განვითარების მექანიზმი“, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას საშუალებას აძლევს, ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანასთან ერთად სპეცპროექტები განახორციელოს.

როგორც „ინტერ-პრესს“ გარემოს დაცვის სამინისტროში განუცხადეს, დანიის სამეფოსთან დაწყებული თანამშრომლობა პირველი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან „სუფთა განვითარების მექანიზმში“ მონაწილეობა საქართველოსათვის პოლიტიკური თვალსაზრისით და გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად ახალი ტიპის ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია.

## ასეთი სახელმძღვანელო სარგებლობას მოგვიტანს

გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის კორპორატიული მმართველობის საკითხებზე გამოცემული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე პროექტის დირექტორმა ჯეფ ფერიმ განაცხადა, კორპორატიული მმართველობის დანერგვა ქართულ საფინანსო ორგანიზაციებში და მიკროსაფინანსო სექტორში საჭირო და აუცილებელია. გამოცემული სახელმძღვანელო კი, რომელიც ქართულ სინამდვილესთან არის ადაპტირებული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სწორ მენეჯმენტს ასწავლის. ეს აუცილებელია კონკრეტულ გარემოში მათი განვითარებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის“ – განაცხადა ფერიმ.

ინტერ-პრესი.

პოლიტიკა

# მთავარია არა ომი, არამედ დიპლომატია

(მეორე გვერდიდან)

**— არის სხვა პრობლემებიც რუსეთთან ურთიერთობაში?**

— არის სამხედრო ბაზების, საზღვრების, ეკონომიკის ურთიერთობების განვითარების პრობლემები. დგას ასევე ყველასთვის ცნობილი კონფლიქტების პრობლემა იმ ჭრილში, თუ როგორ ექცევა რუსეთი საქართველოს ამ კონფლიქტურ ზონებში მაშინ, როცა, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს აღიარებს და ამავე დროს, პრაქტიკულად, ნებისმიერი მისი ქმედება მიმართულია პირიქით, რომ ცნოს სეპარატისტთა დამოუკიდებლობა, მათი კავშირები რუსეთთან და ასე შემდეგ...

აი, ეს საკითხები დგას ჩვენი ურთიერთობის წინა პლანზე. უნდა მოხდეს გარღვევა ამ პრობლემებში, რათა მივაღწიოთ ორ ქვეყანას შორის ნორმალურ, ცივილიზებულ, მეგობრულ ურთიერთობებს.

**— ქალბატონო სალომე, თქვენ ჩამოაყალიბეთ სამი მთავარი პრიორიტეტი. არის ჩვეულებრივი, მაგრამ საჭირბოროტო საკითხებიც.**

— უპირველესად ეს არის რეგიონული ინტეგრაცია, უახლოეს მეზობლებთან ჩვენი ურთიერთობების განვითარება. ეს ეხება სომხეთის, აზერბაიჯანის მხარეებს. სატრანსპორტო და ეკონომიკური დერეფნის ამოქმედება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ღერძია და, ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე სომხეთისკენ არის მეორე ღერძი. ეს არის სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძი, რომელიც დღეისთვის ნაკლებად არის ამოქმედებული და იგი უკავშირდება რუსეთთან ჩვენს ურთიერთობას, უკავშირდება აფხაზეთის საკითხს. რეგიონული თანამშრომლობის პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ამაზე. ჩვენ შევიყვანეთ ეს ორივე ქვეყანა „ახლო მეზობლების ინიციატივაში“.

ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პროგრამა დამტკიცდა ნატოში. აზერბაიჯანიც ძალიან მონდომებით მუშაობს თავის პროგრამაზე და მისი ეს პროგრამა 2005 წელს დამტკიცდება. და უკვე სომხეთმაც გამოაცხადა, რომ აპირებს იმუშაოს ამ მიმართულებით. ესე იგი, ნატოსთან მიმართებაში სამივე ქვეყანა ერთ პოზიციაზე დგას. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. მართალია, მათ შორის დიდი ტერიტორიული დავაა, მაგრამ ისინი ახლა ამაზეც მუშაობენ.

რაც შეეხება კიდევ ერთ რეგიონს: აშკარაა, რომ უკრაინის რევოლუციის შემდეგ ამ ქვეყანას ახალი მიმართულებები აქვს ევროპისკენ, ნატოსკენ. უკრაინის სტაბილურობა და მისი საქართველოსთან დაახლოება, ასევე პოლონეთთან დაახლოება ახალი ელემენტია მთელი ჩვენი რეგიონის განვითარებისთვის.

გარდა ამისა, აღმოსავლეთში, ჩინეთშიც გავხსენით საელჩო და ეს პოტენციურად ძალზე მნიშვნელოვანია. შუა აზიაში, რომელიც გამოუყენებელი სივრცე არის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, დაგეგმილია რამდენიმე ვიზიტი და შეხვედრა ჩვენი პრემიერის მიერ. იქაური ჩვენი საელჩოები ძალზე გააქტიურდნენ. მთელი ეს ეკონომიკური ხაზი, რომელიც გადის ჩვენი დერეფნიდან შუა აზიაზე, ჩინეთზე, არის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ბერკეტი საქართველოს ახალი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისა.

**— რა რეზონანსი გამოიწვია საზღვარგარეთ პრეზიდენტის გამოსვლამ ევროსაბჭოში?**

— პრეზიდენტის გამოსვლას სტრასბურგში უკვე ჰქონდა საკმაოდ დადებითი გამოხმაურება საერთაშორისო პრესაში. ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ კიდევ უფრო გავრცელდეს მსოფლიოს მასშტაბით, შემდეგ შევუდგებით ამ ელემენტებიდან გამომდინარე კონკრეტულ მუშაობას. მიხეილ სააკაშვილის ნობელის პრემიაზე წარდგენა კი ჩვენი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების დიდი აღიარებაა.

**— ქალბატონო სალომე, საზღვარგარეთის პრესა თქვენ მოგიხსენიებთ როგორც ენერგიულ, უნარიან მინისტრს. ქალი რომ ხართ, ეს გეხმარებათ თუ ხელს გიშლით მუშაობაში?**

— არასდროსაც არ შემშლია ხელი არც წინა, 30-წლიან დიპლომატიურ მოღვაწეობაში. პირიქით, დიპლომატიაში ეს შეიძლება დადებითადაც გამოიყენო. თუნდაც ქალური ინსტინქტები, ინტუიცია, ზოგჯერ შარმიც, თუ ეს საჭიროა. დღევანდელ მსოფლიოში ეს ხელისშემშლელი ნამდვილად აღარ არის. პირიქით, შეიძლება იყოს ძალიან ხელისშემწყობიც, ვინაიდან არსებობს „საგარეო საქმეთა მინისტრ ქალთა ჯგუფი“, რომელიც მადლენ ოლბრაიტმა შექმნა თავის დროზე. ეს ქალი მინისტრები წელიწადში ერთხელ მაინც იკრიბებიან გენერალური ასამბლეის დროს, გაეროში. ბოლო ასამბლეას მეც დავესწარი. პატარა ჯგუფია, მგონი, თხუთმეტამდე ქალია. ისინი დავპატიჟე და იმედი მაქვს რომ 2005 წელს ჩამოვლენ საქართველოში და აქ შევიკრიბებით. ვფიქრობ, – რახან კონდოლიზა რაისი დაინიშნა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრად, ამ ჯგუფს მიენიჭება უფრო დიდი მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ქალია, ჩვენც შეგვიწყობს ხელს ურთიერთობის განმტკიცებაში, მეტადრე, რომ ერთ უნივერსიტეტში ვსწავლობდით კოლუმბიაში... ასე რომ, ბევრი საერთო რამ შეიძლება ვიპოვოთ.

**— ერთი ასეთი კითხვაც მინდა დაგისვათ: ითქვა, თითქოს თქვენსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის იყო რაღაც უთანხმოება. მართალია ეს?**

— ზედმეტია უთანხმოებაზე ლაპარაკი. რაზე უნდა გვქონდეს უთანხმოება? საგარეო პოლიტიკაში იმდენად ნათელია ჩვენი მიმართულებები, რომ ამაზე დავა არ არის. ეს არ არის ჩემი მიმართულებები. ეს არის პრეზიდენტის მიმართულებები და მე ვარ მათი განმახორციელებელი. პრიორიტეტების განსაზღვრა ჩემზე არ არის დამოკიდებული. პოლიტიკური უთანხმოებები არ არსებობს. პერსონალური თუ არის, ჩემგან არ არის და მაშინ იქ უნდა იკითხოთ, სადაც შეიძლება იყოს. ფაქტია – სამინისტროში ვატარებ ისეთ რეფორმებს, რომ ამან შეიძლება გარკვეული გაუგებრობები გამოიწვიოს. ეს არ არის ახალი და ყოველ სიახლეს აქვს თავისი გარკვეული წინააღმდეგობები.

**— თქვენს მიერ გაკეთებული საქმეებიდან რა მიგაჩნიათ ყველაზე მეტად მნიშვნელოვნად? თუ იყო რამე ისეთი, რისი გაკეთებაც გინდოდათ და ვერ შეძელით?**

— ძალიან ბევრი რამ (იცინის). პირველ რიგში, შიგნით, სამინისტროს გარდაქმნას ვიტყოდი. საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს ძალიან რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა, კონფლიქტები შიგნით, მთავარია არა ომი, არამედ დიპლომატია. ასე რომ, ჩვენ უნდა გვყავდეს ძალიან ეფექტიანი დიპლომატიური კორპუსი. ეს ეხება საელჩოებს და შიგნით, სამინისტროსაც, მის მუშაობას. ყველაზე უკეთესები უნდა ვიყოთ. არ შეიძლება, საქართველოს, ზოგი სხვა ქვეყანასავით გაუმართავი დიპლომატიური სამსახური ჰყავდეს. ჩვენ გვჭირდება საუკეთესო ადამიანები და უნდა ვმუშაობდეთ 24-საათიან რეჟიმში. ამას ვეუბნები ჩემს თანამშრომლებსაც, საელჩოებსაც.

**— დაბოლოს, რა უხარია და რა სწყინს სალომე ზურაბიშვილს?**

— ბევრი რამ მიხარია. მიხარია, ბავშვები რომ მირეკავენ პარიზიდან და მიხარია, ჩემი ქალიშვილი რომ ჩამოდის თბილისში ერთი კვირით. მაგრამ მწყინს, რომ ვიცი, იმდენი დრო არ მექნება, მასთან ერთად გავატარო. იმდენი დელეგაცია ჩამოდის ამ კვირას (მაჩვენებს ფერადი ფანქრით აჭრელებულ გრაფიკს – ლ. ჭ.), მომავალ კვირას და საერთოდ, ამ ორ-სამ თვეში, რომ საქმიანი შეხვედრებით დატვირთული დღეები გველის. ამავდროულად, ეს მიხარია. ეს ნიშნავს, რომ ძალზე აქტიურია ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობები დანარჩენ მსოფლიოსთან, რომ მართლაც დიდი ინტერესია საქართველოს მიმართ...

თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოდის დემოკრატიული ქვეყნების ექსპერტთა დელეგაცია, 30 ქვეყნის ექსპერტი, მათ შორის სამხრეთ აფრიკელიც... როცა სამხრეთ აფრიკელი საქართველოში იმისთვის ჩამოდის, რომ დაგვეხმაროს დემოკრატიულ განვითარებაში, გაგვიზიაროს თავისი გამოცდილება, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი დიდია და ეს ინტერესი მთელ მსოფლიოშია მოდებული.

მერწმუნეთ, არ არის ქვეყანა, რომელიც ამ ინტერესის მიღმაა დარჩენილი. ჩვენ ეს გვახარებს!

ესაუბრა
ლია ჭიღლაძე.

ინფორმაცია

## კონტრაბანდასთან ბრძოლა არ შენელდება



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ზუგდიდსა და გორში გუშინ დაღუპული პოლიციელების ხსოვნის პატივსაცემად ხუთშაბათს, 12 საათზე შს სამინისტროს ყველა განყოფილებაში მუშაობა ერთი წუთით შეჩერდება.

გარდა ამისა, საპატრულო პოლიციის ყველა მანქანა გაჩერდება და შს სამინისტროს ყველა ქვედანაყოფში სახელმწიფო დროშები დაეშვება.

მომხდარ ინციდენტებს მერაბიშვილმა შს სამინისტროს მიერ აღებული კონტრაბანდასთან ბრძოლის კურსის საწინააღმდეგო ქმედება უწოდა. „ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, სამინისტრო კონტრაბანდასთან ბრძოლას კვლავაც გააგრძელებს, – დასძინა მან.

## ფილმს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა

დიდი ეროვნული გაერთიანების ლიდერი მანანა არჩვაძე-გამსახურდია დავით აღმაშენებლის ცხოვრების შესახებ მხატვრული ფილმის გადაღების წინააღმდეგია.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიას თქმით, დღევანდელ ხელისუფლებას მორალური უფლება არა აქვს დავით აღმაშენებელზე ფილმი გადაიღოს. „აღმაშენებლის დროს საქართველოს ტერიტორიები დაცული იყო. დღევანდელი ოკუპანტი ხელისუფლება ფაბრიკა-ქარხნებით დაწყებული და საქართველოს მიწა-წყლით დამთავრებული ყველაფერს ყიდის“, – აცხადებს ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი.

“გამორიცხული არ არის ფილმის გადაღების შემთხვევაში უცხოელმა რეჟისორმა, დავით აღმაშენებლის როლზე ვინმე ჰომოსექსუალისტი ან მასონი მოიწვიოს“, – მიიჩნევს მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

ინტერ-პრესი.

ერიჰა!

# არაკომპეტენტურობის დოლი

## „ტენდერი“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შენობაზე

**ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში“, (25 იანვარი, 2005 წ.) გამოქვეყნდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ ტენდერი – თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ახალი აეროვაგზლის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლების საპროექტო წინადადებაზე.**

ტენდერი სამ მოთხოვნას აყენებს:

1. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი აეროვაგზლის შენობის პროექტი, რომელიც გათვლილი იქნება საათში 2000 მგზავრზე;



2. ინფორმაცია პროექტის წარმომდგენი კომპანიის (ან ფიზიკური პირის) მიერ ადრე შესრულებული სამშენებლო პროექტების თაობაზე;

3. საპროექტო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ამა წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

„ტენდერი“ უამრავ კითხვას ბადებს. არქიტექტურაში, ისევე როგორც მუსიკაში (ვოკალში, ბალეტში და სხვა სახელოვნებო დარგებში), საუკეთესოს გამოვლენის მიზნით იმართება არა ტენდერი, არამედ კონკურსი. ასეა ეს მთელ მსოფლიოში – იმ ქვეყნებშიც, საიდანაც სიტყვა „ტენდერი“ შემოვიდა ჩვენთან.

„კონკურსი“ და „ტენდერი“, იმავდროულად, მათ არსობრივ განსხვავებულობაზე მიანიშნებენ. პირველი ნიშნავს საუკეთესო წმინდა ხელოვნების, ესთეტიკის თვალსაზრისით, და არავითარი კავშირი არა აქვს ეკონომიკასთან. ხომ არ შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი იაფად მგალობელ ბულბულზე? **არქიტექტურაში ტენდერი შეიძლება გამოცხადდეს კონკურსში გამარჯვებული პროექტის რეალიზაციაზე.** თავისი არსით, ამ ორი, სრულიად განსხვავებული თვისობრიობის გაერთიანება და საუკეთესოს გამოვლენა, აბსურდია! საუკეთესო უნდა გამოვლინდეს ეტაპობრივად. პირველი ეტაპია კონკურსი საუკეთესო პროექტზე, ხოლო მეორე – ტენდერი პროექტის რეალიზაციაზე.

თვალს არ ვუჯერებდი, როდესაც წავიკითხე – „საპროექტო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ამა წლის 15 თებერვლის ჩათვლით“. ვიფიქრე, კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადის და საკონკურსო მასალის მიღება იგულისხმება-მეთქი. რამდენჯერმე გადავიკითხე, – ნათლად წერია: „საპროექტო წინადადება“.

რას ნიშნავს ეს? პრობლემის აბსოლუტურ უცოდინარობას, არაკომპეტენტურობას ან უფრო უარესს – არსებობს რაღაც პროექტი, აკინძულ-განხილულ-მოწონებულ-შეთანხმებული, რომელიც რომელიღაც მაღალჩინოსნის მაგიდაზე დევს, ხოლო „ტენდერი“ საშუალებაა მის დასაკანონებლად. ერთობ პრიმიტიული სვლაა. ასე რომ არა, 20 დღე „თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი აეროვაგზლის შენობის“ კი არა, საგაზეთო ჯიხურის პროექტისთვისაც არ არის საკმარისი.

არქიტექტურული კონკურსის მოწყობა, ისევე როგორც ყველა კონკურსისა, უაღრესად შრომატევადი საქმეა და ითხოვს სათანადო კვალიფიკაციას. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონკურსისთვის განკუთვნილი დროისა და ფინანსების თითქმის ნახევარი (თუ მეტი არა) მიდის ორგანიზაციულ საქმიანობაზე, ქმნიან საკონკურსო დირექციას სათანადო უფლებამოსილებით. კონკურსს აქვს მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნები, რეგლამენტი. კონკრეტულია მიზანი და ამოცანა – დამკვეთის პოზიცია, გაწერილია ყველაფერი, თვით სათავსოთა ფართობამდე: ვადები, პროექტის წარდგენის წესი, მხარეთა იურიდიული უფლებები. ცნობილია პრემიების ოდენობა და რაოდენობა, ჟიურის შემადგენლობა. კონკურსის პირობები იურიდიული დოკუმენტია, მხარეები კი – ორგანიზატორი და კონკურსის მონაწილე. არსებობს მაღალი პრესტიჟის მქონე საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის წესდება – ეტალონი და მასთან სინქრონიზებული საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წესდება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონკურსის ამოცანის სიცხადე-სიზუსტე, არაორაზროვნება პირდაპირ განსაზღვრავს კონკურსის შედეგებს. შარშან ლენინგრადის მარინის თეატრის სცენური ნაწილის გაფართოების და მცირე დარბაზის ჩართვის საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორებმა კონკურსანტებს სავალდებულო ტექნოლოგიური სქემაც აახლეს. და ეს სწორია, დამკვეთმა ნათლად იცის რა უნდა.

„ტენდერში“ მინიშნებულია, რომ მონაწილეობის უფლება აქვთ უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ როგორ უნდა მოასწროს მონაწილეობა „ტენდერში“ უცხოელმა, თუკი პროექტი 15 თებერვალს უნდა ჩაბარდეს? რომელი პროფესიონალი დაიწყებს პროექტირებას ადგილის უნახავად, მისი ყოველმხრივი ანალიზის გარეშე? მეორეც – „უცხოელის“ მონაწილეობას მხოლოდ მაშინ აქვს შედეგი, თუ კი ის აღიარებული პროფესიონალია, ხოლო მაღალი კლასის არქიტექტორის ჩართვა კონკურსში არ არის იოლი საქმე. იგივე, მარინის თეატრის მაგალითს მოვიყვან (ის ბოლო საერთაშორისო კონკურსი იყო და ამიტომაც მომყავს მაგალითად): ორგანიზატორებს წელიწადზე მეტი დასჭირდათ რამდენიმე გამოჩენილი არქიტექტორის თანხმობის მიღებაზე ( კონკურსი დახურული, შეკვეთილი იყო), ბევრ მათგანს ჰონორარი – 30 ათასი ევრო კონკურსში მონაწილეობისთვის სასაცილოდაც არ ეყო და არც მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო კონკურსების ორგანიზაციაში ადგილობრივ ინსტანციებთან ერთად, როგორც წესი, ჩართულია საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირიც.

**და ბოლოს, საიდან მოდის ასეთი გაიოლებული წარმოდგენები არქიტექტურული პრობლემებისადმი? ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის!** ასეთივე, არაკონკრეტული ამორფული, ქალაქთან შეუთანხმებელი (ქალაქის მონაწილეობა დოკუმენტებში არსად ჩანს) „ტენდერი“ გამოაცხადა „რესპუბლიკის მოედნის განვითარების ფონდმა“, ასევე, არაკონკრეტული, წინააღმდეგობრივი და ნაჩქარევი იყო 9 აპრილის ტრაგედიის თუ ერთიანობის მემორიალის კონკურსიც. შედეგიც ფაქტია.

ორი დღეა, ვრეკავ „ტენდერში“ მითითებულ ტელეფონზე – 44-31-32 დამატებითი ცნობების და საკონკურსო პირობების მისაღებად. ავტომოპასუხე გვიზუსტებს: „თქვენ აკრიფეთ არ არსებული ნომერი“.

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტურის პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.**

**რედაქციისგან: დედაქალაქში გვაქვს ორი უსახური, პროვინციული აეროვაგზლის შენობა. როგორც გვარწმუნებენ, ერთ-ერთი მათგანის მოდერნიზაცია ამ რამდენიმე წლის წინათ 11 მილიონი დოლარი დაჯდა. გვაქვს თუ არა უფლება აჩქარებისა, ახალი გაუაზრებელი ქმედებისა? აეროპორტი ხომ ქვეყნის ჭიშკარი, ეროვნული ღირსების ობიექტია. გამოჩენილი არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას წერილში მოტანილ კონკრეტულ ფაქტებს კომენტარი აღარ სჭირდება. საერთაშორისო აეროვაგზლის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლების პროექტზე „ტენდერის“ გამოცხადების ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ არქიტექტურის სფეროში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა... მით უფრო, რომ ამ „ტენდერის“ შესახებ არაფერი იციან არქიტექტურის (ურბანული განვითარების) საქალაქო სამსახურში, არქიტექტორთა კავშირში და თვით დედაქალაქის ხელმძღვანელობაშიც კი! მაშ, ასე ნაჩქარევად, არაკომპეტენტურად ტენდერის გამოცხადება გაგონილა?**

ყოფა

# სოფელს მივხედოთ და ვითარებაც შეიცვლება

**ადრე ვწერდი, კიდევ კარგი, რომ ქალაქი დიდია და ბაზარიც ბევრია, რომელიც ბევრ ადამიანს აპურებს-მეთქი. ახლა ვკითხულობ, არ დამთავრდა ეს „ჯერჯერობით?“ საინტერესოა, ბაზარი როდემდე უნდა იყოს დასაქმების ერთადერთი საშუალება?**

რომ დაინახეს, კონტროლი გარე ვაჭრობაზე ცოტა შენელდა, ბევრი მოვაჭრე ბაზრიდან გავიდა და იქ ვაჭრობს. როგორც ჩანს – ახალი წლისა და შემდგომ პერიოდში მართლაც ძნელია მოვაჭრეებთან ბრძოლა, ამიტომ ისევ გაივსო მოვაჭრეებით ცენტრალური სუპერმარკეტის, რკინიგზის ვაგზლისა და მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიები. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში მათ უკეთესი პირობები აქვთ, მაინც გარე ვაჭრობას ამჯობინებენ, რაც თავისთავად ამცირებს ბაზრების შემოსავალს. იმას არავინ დაგიდევს, ზოგჯერ სიცოცხლისთვის სახიფათო, შეუმოწმებელ პროდუქტს რომ ყიდიან.

როგორც ირკვევა, შესაბამისი კანონი და საკანონმდებლო აქტი, რომელიც გარე ვაჭრობას სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს, დღემდე არ არსებობს. დედაქალაქის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის და რეფორმების საქალაქო სამსახური საზოგადოებას ჰპირდება, რომ ორ კვირაში შემუშავდება წინადადებები, რომლებიც წინასწარი განხილვისთვის გამოქვეყნდება, ამის შემდეგ შემუშავდება კანონი, რომელიც გარე ვაჭრობას მოაწესრიგებს, გაირკვევა საბოლოო ადგილი, სად დაიშვება ასეთი სახით ვაჭრობა და სად – არა. კანონის დამრღვევი კი სათანადოდ დაისჯება. კი მაგრამ, ხალხი? რა ქნან ადამიანებმა, რომელთაც სამუშაო დაკარგეს, თუ დააკარგვინეს და ახლა ცარიელი ჯიბით როგორ შეინახონ ოჯახი, შვილები, რა პასუხი გასცენ მტერსა და მოყვარეს?

ეს ორი დღეა, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია თითქოსდა განთავისუფლდა მოვაჭრეთაგან, რაშიც პოლიციამაც თავისი სიტყვა თქვა. ზოგიერთ უკმაყოფილო მოვაჭრეს ჩვენ მაინც შევხვდით და კომენტარი ვთხოვეთ:

**თინა მაისურაძე (ხაშურის რაიონი):** – 3-4 თვეა თბილისში ვარ და აქ ხილით ვვაჭრობ. თითქოს არა უშავდა, იმდენს ვახერხებდი, ოჯახშიც ვაგზავნიდი, ადრე მეუღლე ვაჭრობდა, პედაგოგი კაცია, გაუჭირდა და ისევ სოფელში ჩამოვიდა, ოჯახს, შვილებს მე მიხედავ, შენ წადიო, მითხრა. ახლა გვერეკებიან, არ გვაძლევენ ვაჭრობის საშუალებას. ვფიქრობ, ურიკა ვიქირაო და ეზო-ეზო ვიარო. ბაზარში ნამდვილად ვერ შევალ და იცით, რატომ? იქ იმის საშუალებას არ გაძლევენ, შენ როგორც „გაწყობს“, ისე გაყიდო. ჩამოივლის ერთი და ფასს ის გვკარნახობს, მისი წესებით უნდა იმუშაო. თან რამდენი შემმოწმებელიც ჩამოივლის, ყველას 5-ლარიანი თუ არ მიეცი, ათას რამეს დაგიწერს. როგორ ფიქრობთ, არ მინდა, რომ უკეთეს პირობებში ვიმუშაო?

**ვენერა და გენო სადარეიშვილები (ჭიათურის რაიონი), ცოლ-ქმარი, ყველით მოვაჭრენი** – ბაზარში კი შევიდიოდით, რა თქმა უნდა, იქ მეტი სისუფთავეა, მაგრამ ყველი იქ იმდენია, რაღა ჩემსას იყიდიან? სამუშაო რომ მქონდეს ჩემს რაიონში, აქ ნამდვილად არ ჩამოვიდოდი. კი, ბატონო, წესრიგს რომ ამყარებენ, მართლები არიან, მაგრამ სამუშაო ადგილებს რომ დაგვპირდნენ, სად არის სამუშაო? რამდენადაც ჩვენ ვიცით, უმუშევრობა ყოველდღიურად მატულობს შემცირების ნაცვლად. ხომ გაგიგონიათ, მშიერი კაცი მგელზე უარესიაო. სოფელი სულ დაავიწყდათ?



კითხვა უპასუხოდ დარჩა.

მართლაცდა, შეიძლება ვცდები, მაგრამ მეჩვენება, რომ რეგიონების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სულაც არ ფიქრობენ, ან ძალიან ცოტას ადარდებს ეს პრობლემა. ერთი კაცი, ისიც პრეზიდენტი, ყველაფერზე ხომ არ უნდა ზრუნავდეს? ხელისუფლებაში ახალი ადამიანების მოსვლის შემდეგ ვარაუდი იმისა, რომ სოფლად მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, დიდი იყო, მაგრამ როგორც ირკვევა, საქმე ასე სულაც არ არის, ერთი წელიწადი საკმარისი დრო კი იყო, რომ მთავრობას რეგიონების განვითარების პოლიტიკა შეემუშავებინა, რაც სიკეთეს იქაურ მაცხოვრებლებს უთუოდ მოუტანდა.

მძიმე საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გამო სოფელი ერთი მეორის მიყოლებით ცარიელდება. დარჩენილები თავს შინამეურნეობით ძლივს ინახავენ. როდემდე გასტანს ასე, არავინ იცის. ოფიციალური მონაცემით, საქართველოში მოსახლეობის ორი მესამედი სოფლის მაცხოვრებელია. მას მიწა კი აქვს, მაგრამ შიშველი ხელებით დამუშავება უჭირს. არა აქვთ შუქი, ტექნიკა, საწვავი, სათესლე მასალა, ფული, საბრუნავი საშუალება. ქელეხებსა და ქორწილებში „პოსლეზე“ დადიან. როგორც ჩანს, ადგილებზე არავის აწუხებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხიც, ამიტომ ჩამოდიან თბილისში, ამიტომ აივსო ქალაქი დროებით ოჯახმიტოვებული, ხელზე სიგარეტის ყუთითა და ტანსაცმელგადაკიდებული ქალებით. მართალია, ქალაქის მმართველობა ებრძვის გარემოვაჭრეებს, მაგრამ წარმატებისა მეეჭვება, ვიდრე სოფლის პრობლემების მოგვარების ერთიანი პოლიტიკური პროგრამა არ შემუშავდება და ყველაფერი მას არ დაემორჩილება.

სოფელს უნდა დავეხმაროთ, ოდითგან იგი თავსაც ინახავდა და ქვეყანასაც ასაზრდოებდა, ახლა კი თვითონ გამხდარა ხელწასაკრავი. სწორედ რომ, გლეხის ნაჯაფ მხრებს აწევს ის სიმძიმე, რასაც სახელმწიფო ჰქვია...

ნაზი იმნაიშვილი.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო სარეალიზაციო ფასი ცენტრალურ სუპერმარკეტში (კილოგრამობით)**



| | |
|---|---|
| ხორცი საქონლის – | 6,50 ლარი |
| ხორცი ცხვრის – | 4,50 ლარი |
| ხორცი ღორის – | 5 ლარი |
| ყველი იმერული – | 5,50 ლარი |
| სულგუნი – | 7,50 ლარი |
| ქათამი სოფლის – | 12 ლარი |
| ქათამი ფაბრიკის – | 6 ლარი |
| კარტოფილი – | 0,50 ლარი |
| კვერცხი სოფლის – | 0,30-0,25 ლარი |
| კვერცხი ფაბრიკის – | 0,22 ლარი |
| ხახვი – | 0,80 ლარი |
| ნიორი – | 2,30 ლარი |
| კომბოსტო – | 0,40-0,30 ლარი |
| მწვანილი (სხვადასხვა) – | 3 ლარი |
| ვაშლი – | 1 ლარი |
| ლიმონი – | 2 ლარი |
| ფორთოხალი – | 1,50 ლარი |

ისევ ანაბრების შესახებ

# ვითომ გამოვა რამე?!

**დიდად პატივცემულო, ბატონო პროკურორო, მაპატიეთ, რომ ამ ღია ბარათით მოგმართავთ, მაგრამ ვისაც მოვუყვევი ჩემი გულისტკივილი, ყველამ სასაცილოდ ამიგდო – ტყუილუბრალოდ ეჭიდებიო ხავსს!**

**იქნებ სიტყვა გამიგრძელდეს, მაგრამ სათქმელი დაწვრილებით მინდა მოგითხროთ:**

ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე ფულიანი კაცის იმიჯი მქონოდა, მაგრამ ჩემი ხელფასი და ჰონორარი (პროფესიით ჟურნალისტი გახლავართ) მყოფნიდა საიმისოდ, რომ საშუალოდ მაინც დამეკმაყოფილებინა ჩემი ოჯახის მოთხოვნილებები. მერე ის იყო, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში რამდენიმე წიგნიც გამოვეცი, ჩემს ბიუჯეტს მასში მიღებული ჰონორარიც დაემატა და ერთად შემნახველ სალაროში შევიტანე. საბოლოო ჯამში „შენახულმა“ თანხამ 30 ათასი მანეთი შეადგინა. მაშინ, მოგეხსენებათ, ერთი ამერიკული დოლარის კურსი სამოცი კაპიკი გახლდათ! მერე რაც მოხდა, ისიც მოგეხსენებათ. ერთ ბედნიერ თუ უბედურ დღეს, ტელევიზორში ქვეყნის მაშინდელი მეთაური გამოჩნდა:



– მივესალმები, – თქვა მან, – „გაერთიანებული ქართული ბანკის“ დაარსებას, რომლის მეპაიე მეც გავხდი. მოგიწოდებთ, მიბაძოთ ჩემს მაგალითს!..

მეც დავუჯერე (და განა მარტო მე?) „მამა-მარჩენალს“ და გავხდი მის მიერ ნაქები ბანკის მეპაიე. ამასობაში გაერთიანებული ქართული ბანკი თანდათანობით იკრეფდა ღონეს, ფართოვდებოდა, სუქდებოდა და ძლიერდებოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, – მდიდარი ბანკი ხომ მდიდარი მეპაიეა? ბოლოს, როდესაც ბანკმა ქველმოქმედება და სპონსორული საქმიანობა დაიწყო, გადავწყვიტე, – დადგა დივიდენდების მიღების დრო-მეთქი. დივიდენდები მართლაც მივიღე. მართალია, ამ თანხით მაშინ ნახევარი კილოგრამი შაქარი ძლივს ვიყიდე, მაგრამ ესეც ხომ საქმე იყო წინა ღამით პურის რიგში გათენებული კაცისთვის.

მერე კიდევ გავიდა 5 თუ 6 წელიწადი...

იმ დღეს სამსახურიდან (მაშინ ჯერ ისევ მქონდა სამსახური) დაბრუნებულს დამშეულმა ოჯახმა სასიხარულო ამბავი დამახვედრა, – ბანკიდან დაგირეკეს, ლესელიძის ქუჩაზე გამოიაროსო. მეც მივედი. სანდომიან ქალბატონს გულის ფანცქალით მივაწოდე მეპაიეს „დოკუმენტი“ და ხელებში მივაჩერდი, როდის მიბრუნდებოდა სეიფისკენ, გამოიღებდა ფულს და მეტყოდა, – მიიღეთ თქვენი დივიდენდი!

– თქვენ ჩვენს ბანკში 21 აქცია გაქვთ!

– აგაშენათ, ღმერთმა!.. – წავილუღლუღე დაბნეულმა.

– ბანკს თქვენთან ერთი სარფიანი წინადადება აქვს... ხომ არ მოგვყიდით თქვენს აქციებს?

სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო ეს წინადადება, მაგრამ... ხომ შეიძლებოდა ერთი აქცია „ათასები“ თუ არა „ასები“ მაინც ღირებულიყო? მით უმეტეს, წინა დღით „რუსთავი-2“-ზე გადაცემა მქონდა ნანახი, – ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებლის ოჯახის ფინანსურ-ეკონომიკურ დეკლარაციაზე გვიყვებოდნენ. ფეშენებელურ სასახლეში, უძვირფასეს გარემოში ნებივრობდა იმ „ერთ-ერთი დამფუძნებლის“ მეუღლე და ალალად პასუხობდა კითხვებს:

– როგორ გახდით მილიონერი?

– იცით, იმ დროს იაფად შევიძინე ბანკი და მერე... – იყო თავმდაბალი პასუხი.

– ...რამდენი იქნება ჩემი ოცდაერთი აქციის საფასური? – დაიმედებულმა ვკითხე ბანკის სანდომიან აგენტს.

– იცით, ოცდაერთ აქციაში ცხრა ლარსა და ორმოცდაათ თეთრს გთავაზობთ.

– რას ამბობთ? მე ხომ 30 ათასი მქონდა შეტანილი! ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოიმატა ორასი მანეთი, ახლა კი... დივიდენდი მაინც არ მეკუთვნის?

– დიახ, დივიდენდიც გეკუთვნით... ორმოცდაათი თეთრი!

– ღმერთმა დაგწყევლოთ თქვენცა და თქვენი დივიდენდიც, – ჩავილუღლუღე ჩემთვის და ბანკიდან გამოვედი.

ასე დარჩა ჩემი 30-ათასიანი ოცდაერთი აქცია დიდი „ქველმოქმედი“ და „განთქმული სპონსორი“ ბანკის წიაღში. ამ საახალწლოდ კი, კვლავ მომხიბლა ულამაზესმა ქართველმა გოგონამ, რომელიც ტელეეკრანიდან უკეთებდა რეკლამას გაერთიანებულ ქართულ ბანკს. მისი ხათრით და ჯერ ისევ შემორჩენილი იმედით, კვლავ მივაკითხე ჩემს აქციებს. რა იცი, რა ხდება? მაინტერესებდა, ხომ არ მოიმატა დივიდენდმა? და მართლაც „მომატებულიყო“ – ლარი და ოთხმოცი თეთრი გამხდარიყო გასული წლების მანძილზე! მაგრამ, როგორც თვითონაც აღიარეს, ასე უმნიშვნელო თანხის გაცემა არ ღირდა...

კაცმა რომ თქვას, ჩემი ბრალია ყველაფერი, არ უნდა იყო კაცი ისეთი ბოთე, რომ სიმწრითა და შრომით ნაშოვნი კაპიკები თაღლითებს ჩაუგდო ხელში.

თუმცა მას შემდეგ კიდევ დავუშვი შეცდომა და რუსული კომპანია „ნიპეკის“ აქციებიც ვიყიდე. მერე „ნიპეკიც“ უკანმოუხედავად დაიკარგა თავის დივიდენდიანად. ვეძებე, ვეძებე, მაგრამ ვერ მივაგენი მის ნაკვალევს. ამ ბოლო ხანებში კი იმედი მომეცა, როგორც ამბობენ, „ნიპეკის“ ერთ-ერთი მეპატრონე საქართველოს ეკონომიკაში სუპერწონიანი ფიგურა გამხდარა!

გვიშველის, ალბათ, ეს პატიოსანი ადამიანი, აბა რა იქნება?.. მეტი არაა ჩემი მტერი!

ახლა მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს, ჩემო სამართლიანო პროკურორო. სარჩელი მინდა შევიტანო ქვეყნის მაშინდელ მეთაურზე, „ნიპეკზე“ და „გაერთიანებულ ქართულ ბანკზე“, რომლებმაც მომატყუეს და გამძარცვეს! გამოვა ვითომ რამე? ალბათ, არა, რადგან, როგორც პარლამენტის ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა ბრძანა, სახელმწიფოს ამისი საშუალება არა აქვს, ათი, ოცი წლის შემდეგ კი ენახოთო! კი, მაგრამ ვინც წამაქეზა, ვინც მომატყუა, ვინც ჩემი ფული „მიირთვა“, ბანკი „იაფად“ იყიდა და გამდიდრდა, იმათ რატომ არ უნდა მოვთხოვოთ მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება? ჩალით ხომ არ არის დახურული ეს ქვეყანა? ალბათ კი, რადგან ამ საქმის შემსწავლელ კომისიას ისევ ისინი განაგებენ, ვინც გაგვძარცვა!

**ზაურ ფიფია.**

ინფორმაცია

## „თბილგაზი“ ურჩ გადამხდელებს სჯის

„თბილგაზი“ ურჩი გადამხდელი აბონენტების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებს იწყებს. როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიაში განუცხადეს, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ამიტომ „თბილგაზი“ იძულებულია, ურჩ გადამხდელებს გაზმომარაგება შეუწყვიტოს.

“აბონენტებმა, რომლებსაც მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური გადასახდელი აქვთ, ხოლო ვალი - აღიარებული, დავალიანება აუცილებლად უნდა დაფარონ, ან კომპანიის ბილინგის განყოფილებას დაუკავშირდნენ და ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე შეთანხმება გააფორმონ“ - განაცხადეს კომპანიაში.

**ინტერ-პრესი.**

სოფელი

# მათ ნაღვაწს მსოფლიო აღიარებს

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება მცენარეთა სელექციაა. მინდვრის კულტურების გენეტიკას, სელექციასა და მეთესლეობას 70 წელზე მეტი ნაყოფიერად ემსახურება ამიერკავკასიაში ერთადერთი უძველესი და მსოფლიო სამეცნიერო ცენტრების მიერ აღიარებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგური. ამ დარგის თანამედროვე მიღწევებით ევროპასა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა საგრძნობლად გაიზარდა.**

მარცვლეული კულტურების მცირე მოსავლიანობის (ჰექტარზე 15-22 ცენტნერი) ძირითადი მიზეზია დაბალმოსავლიანი ჯიშების და უხარისხო თესლის გამოყენება. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სისტემაში მომუშავე მეცნიერებმა შექმნეს მრავალი ისეთი ჯიში და ჰიბრიდი („მცხეთა 1“, „ვარძია“, „ქართული 9“, „ენგური“, „ივერია 70“, „წეროვანი 1“, წეროვანი 3“, „თეთნულდი“, „მუხრანულა“ და სხვა), რომელთა გამოყენებაც ფერმერულ მეურნეობებში მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

ყველაზე მძიმე წლებშიც კი, როდესაც ბიუჯეტიდან ვერ ფინანსდებოდა მეცნიერთა ისედაც მცირე ხელფასი, ამორტიზირებული იყო 25-30 წლის წინათ შეძენილი ტექნიკა, ქართველ მეცნიერებს არ შეუმცირებიათ, სელექცია-მეთესლეობაში სამეცნიერო სამუშაოები, პირიქით, ისინი უფრო მასშტაბური და ნაყოფიერი გახადეს.

აკადემიის დახმარებით, მიწათმოქმედების ინსტიტუტმა და მცხეთის სასელექციო სადგურმა ნაყოფიერი სამეცნიერო კავშირები დაამყარეს აგრარული კვლევის საერთაშორისო ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან. დღეს უკვე წარმოუდ-



გენელია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ლაპარაკი საერთაშორისო კვლევითი ცენტრების – „იკარდას“, „სიმიტის“, „იკრისატის“, „იპგრის“ და სხვათა მონაწილეობის გარეშე. 1995 წლიდან დღემდე, შემოტანილი და გამოცდილია მინდვრის კულტურების 16725 საინტერესო გენეტიკური ფორმა და ნიმუში, ასეთი ურთიერთობის საფუძველზე მარტო უკანასკნელ წლებში გამოყვანილი და დანერგილია 14 მაღალმოსავლიანი ჯიში და ჰიბრიდი, მათ შორის ხორბლის – 2, სიმინდის – 4 ჰიბრიდი, ლობიოს – 2, ქერის – 4, ოსპის და მუხუდოს თითო ჯიში. თითოეული ახალი ჯიშის გამოყვანა და დანერგვა (საერთაშორისო გამოცდილებით) სულ ცოტა 100-150 ათასი დოლარი ჯდება. აკადემიის მეცნიერებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 1,4-2,1 მილიონი დოლარის ინტელექტუალური პროდუქცია. თითოეული ახალი ჯიში და ჰიბრიდი, არსებულ ჯიშებთან შედარებით, საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა 10 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა. ამჟამად მათ წარმოებაში უკავიათ 5 ათასი ჰექტარი და ქვეყანა ყოველწლიურად ღებულობს სიმინდის, ხორბლის და ქერის 5 ათასი ტონის ნამატ მოსავალს, რაც ფულადი გამოხატულებით (ტონა 200 ლარი) ერთ მილიონ ლარს უდრის.

სელექცია – მეთესლეობის სისტემის სრულყოფით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის 25-30 პროცენტით გაზრდა, ასე მარცვლეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა მოიმატებს 35-40 ცენტნერამდე. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანას შეუძლია აწარმოოს იმდენი ჰიბრიდული სიმინდის თესლი, რომ დააკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება და ნამატი პროდუქცია გაიტანოს საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილმა სიმინდის ჰიბრიდმა „ენგურმა“ (დარაიონებულია შუა აზიის ქვეყნებში) უზბეკეთში ჰექტარზე 24 ტონა მარცვალი მისცა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა აზიის რესპუბლიკები ვერ აწარმოებენ ჰიბრიდულ თესლს, ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება (ცნობისათვის, კილოგრამი თესლი უცხოეთში 6 დოლარი ღირს).

სიმინდის სელექციისა და მეთესლეობის ხაზით, მცხეთის სასელექციო სადგურმა 2004 წლიდან აღადგინა მეცნიერული ურთიერთობა მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთის ფირმა „ლიმაგრესთან“. გამოიცადა 8 ჰიბრიდი. მათგან ორმა ყველაზე კარგი შედეგი უჩვენა, ადგილობრივ ჰიბრიდ „ქართული 9“-თან შედარებით. მომავალ წლებში კიდევ უფრო გაფართოვდება ეს ურთიერთობები. მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მუშაობას ამ მიმართულებით.

საქართველოში დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა თავთავიანების წინამორბედის შერჩევას. როგორც ცნობილია, წინამორბედად სიმინდის გამოყენება აგვიანებს ნიადაგის მომზადებას და თესვას, რის გამოც თავის დროზე (ოქტომბერში) ვერ ითესება თავთავიანები. დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. აკადემიის დახმარებით ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურმა საერთაშორისო



კვლევით ცენტრ „იკარდასთან“ ერთად დაიწყო უძველეს პარკოსან კულტურებზე (მუხუდო, ოსპი) სელექციური მუშაობა. გამოყვანილი და დარაიონებულია ჯიშები „ელექსირი“ და „პაბლო“. ეს ორი ჯიში მეტად საინტერესოა ჩვენი ქვეყნის ურწყავი და შემაღლებული ზონისათვის, რადგან ისინი ყინვისა და გვალვის მიმართ გამძლეობით ხასიათდებიან. ამავე დროს უფრო მოსავლიანი და ყუათიანია, ვიდრე ლობიო. მათი თესვა შესაძლებელია როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე და, რაც მთავარია, საუკეთესო წინამორბედია თავთავიანი და სხვა კულტურებისათვის, რადგან მათ ფესვებზე ვითარდება დიდი რაოდენობით ბაქტერიები, რომლებიც ნიადაგს ამდიდრებენ აზოტით. ორივე ჯიშის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.5-3.0 ტონას აღწევს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დასახელებული ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლის შეძენა მცხეთის სასელექციო სადგურში.

აღნიშნული სახის სამუშაოებს აკადემია ყოველწლიურად აფართოებს. უნდა მივაღწიოთ, რომ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ფერმერების მოთხოვნები უხვმოსავლიანი ჯიშების და ჰიბრიდების სუპერელიტური, ელიტური და პირველი თაობის თესლით.

**გურამ ალექსიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**

**ზურაბ ჯინჯიხაძე,**
**მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მეცნიერებათა კანდიდატი;**

**ოთარ ლიპარტელიანი,**
**მცხეთის სასელექციო სადგურის დირექტორის მოადგილე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.**

ინფორმაცია

## გადავარჩინოთ ნაძვის ხეები!



„კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ოფისში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ინიციატივით ფოტო-გამოფენა „გადავარჩინოთ ნაძვის ხეები“ გაიმართა.

გამოფენაზე საახალწლოდ უკანონოდ მოჭრილი ნაძვის ხეების ამსახველი ფოტოები იყო წარმოდგენილი.

2004 წლის დეკემბერში „მწვანეებმა“ სპეციალური პროექტი – „გადავარჩინოთ ნაძვის ხეები“ განახორციელეს. პროექტის ფარგლებში შეირჩა 10-კაციანი მობილური ჯგუფი. მას იმ ადგილების კონტროლი ევალებოდა, სადაც შესაძლებელი იყო საახალწლოდ ნაძვის ხეების მოჭრა და მათი რეალიზაცია. ამასთან, დაიბეჭდა 3000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი – „გაუფრთხილდით ნაძვის ხეებს“ და 500 პლაკატი. როგორც გამოფენაზე აღინიშნა, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში აღმოაჩინეს არაერთი კანონდარღვევა, რომელთა ამსახველი ფოტო-მასალა გარემოსდაცვითი ცენტრის ოფისში წარმოადგინეს.

## ბევრი აღფრთოვანებულია, ზოგი კი აპროტესტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაცია“ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ნობელის პრემიაზე წარდგენის მოტივს აპროტესტებს.

როგორც „ინტერ-პრესს“ არასამთავრობო ორგანიზაციაში განუცხადეს, სააკაშვილი (უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად) ამერიკელმა კონგრესმენებმა ნობელის პრემიაზე საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის განვითარების მოტივით წარადგინეს. „ჩვენთვის მისაღებია, რომ ქართველი ადამიანი ამგვარ პრესტიჟულ ჯილდოზეა წარდგენილი, თუმცა, როგორც ჩანს, ავტორიტეტულმა კონგრესმენებმა არ იციან, რეალურად რა ვითარებაა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში“ – განმარტავენ ორგანიზაციაში.

როგორც ასოციაციაში აცხადებენ, საქართველოში კვლავ გრძელდება პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები და ქვეყანაში მასობრივი ხასიათი მიიღო პატიმართა მიმართ არაადამიანურმა მოპყრობამ.

## „დედოვშჩინელები“ სასწავლებლიდან გარიცხეს

საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტთა გარკვეული ჯგუფი ე.წ. „დედოვშჩინის“ დამკვიდრების მცდელობის გამო სასწავლებლიდან გარიცხეს. დისციპლინარული სასჯელის აღნიშნული ფორმა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მესამე კურსის მსმენელი 17 კურსანტის მიმართ განხორციელდა.

თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კურსანტთა აღნიშნული ჯგუფი „დედოვშჩინის“ ქართული ვარიანტის დამკვიდრებით დანარჩენი კურსანტების მართვას ცდილობდა. ამასთან, მშობლები აკადემიის ხელმძღვანელობას ატყობინებდნენ, რომ გაურკვეველი მიზნებისთვის იკრიბებოდა ფული.

გარდა ამისა, თავისი სურვილით აკადემიას ტოვებდა ბევრი კურსანტი, რომელთა მშობლები აცხადებდნენ, რომ მათი შვილები გარკვეული წრისგან განიცდიდნენ ჩაგვრას, მათ კი ეშინოდათ, ან საერთოდ არ სურდათ ამის ოფიციალურად გაცხადება.

## რკინიგზის გადაკეტვით იმუქრებიან

ხარაგაულის რაიონის 500-მდე მკვიდრი, რომელიც ელექტროენერგიის მოთხოვნით გუშინ დილიდან გამგეობის წინ საპროტესტო აქციას მართავდა, გამგეობის შენობაში შეიჭრა და სხდომათა დარბაზი დაიკავა.

აქციის მონაწილეებს ადგილობრივი მთავრობის და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის იმერეთის ფილიალის ხელმძღვანელი პირები შეხვდებიან.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ხარაგაულში არ მოქმედებს ელექტრომომარაგების გრაფიკი და ზოგიერთ მათგანს ელექტროენერგია რამდენიმე კვირის მანძილზე არ მიეწოდება.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქციას გააგრძელებენ და რკინიგზის ხარაგაულის მონაკვეთს გადაკეტავენ.

## წიგნი კონფლიქტების გადაწყვეტაში დაგვეხმარება

გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში რეგიონალიზმის კვლევითი ცენტრის მიერ გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ფინანსური დახმარებით გამოცემული კრებულის - „საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების“ პრეზენტაცია გაიმართა.

კრებულში, რომელიც პარლამენტარ თამაზ დიასამიძის რედაქტორობით გამოიცა, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით 198 უმთავრესი დოკუმენტია შესული. გამოცემა საქართველოში არსებული კონფლიქტებით დაინტერესებულ მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის პრობლემების შესახებ 1917-1988 წლებში შექმნილ არაერთ ისტორიულ-პოლიტიკურ დოკუმენტს აცნობს, რომელთა უდიდესი ნაწილის გაცნობის საშუალება ფართო საზოგადოებას პირველად ეძლევა.

წიგნის პრეზენტაციაზე მიწვეულმა მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა იმედი გამოთქვეს, რომ რეგიონალიზმის კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებული კრებული, რომელშიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემატიკის ღრმა ცოდნაა წარმოდგენილი და რომელიც კვალიფიციურად არის შედგენილი, ქართველ მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

**ინტერ-პრესი.**

პრობლემა

# ეს ის თაობაა, რომელსაც აფხაზეთი ელოდება

## რატომ არ ვრცელდება ამბულატორიულ-მუნიციპალური სამედიცინო დახმარება დევნილ ბავშვებზე?!..

დოსიე

**ლამზირა ზოდელავა. ჰყავს მეუღლე ემზარ კაკულია, ეკონომისტი. ორი ვაჟი: უფროსი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, უმცროსი – სკოლის მოსწავლე, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ (ხელმძღვანელები ჯემალ და ნუნუ რეხვიაშვილები) მოცეკვავე. დაამთავრა ქალაქ ასტრახანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 2002 წლიდან აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმია.**

**1993 წლიდან, მთაწმინდის რაიონის ბავშვთა №13 პოლიკლინიკის შენობაში ქალბატონ მერი ჯანგველაძის დახმარებითა და მაშინდელი №13 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მედეა ქარცივაძის გულთბილი მასპინძლობით, აქ აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა პოლიკლინიკა განთავსდა და დღეს ათასობით მოზარდს ემსახურება, სადაც აფხაზეთიდან დევნილი მაღალკვალიფიციური ექიმი პედიატრები მუშაობენ. მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, გამოცდილი პედიატრი ნათელა ყურაშვილია.**



...აქ სულ ხალხმრავლობაა, საუბარი ლამზირა ზოდელავას ოთახში (ოთახების სიმცირის გამო, ერთ პატარა ოთახში, 4 ექიმი ზის და მიმოსვლაც ხშირია) გაიმართა.

***– ქალბატონო ლამზირა, აფხაზეთიდან დევნილი რამდენი ბავშვია თქვენს პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე?***

– აღრიცხვაზე აყვანილ ბავშვთა რაოდენობა ჩვენთან წლების განმავლობაში მატულობს, წინა წლებთან შედარებით შობადობა იზრდება. ყოველწლიურად ბავშვთა პოლიკლინიკაში ახალშობილთა რეგისტრაცია ტარდება. მაგრამ ზუსტი შობადობის ანალიზის გაკეთება შეუძლებელია, რადგან, ხშირად, ზოგიერთების აღრიცხვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივ, რაიონულ პოლიკლინიკებში ხდება.

წლეულს დეკემბრის ჩათვლით 345 წლამდე ახალშობილი ბავშვია, მაგრამ საშუალოდ წლების განმავლობაში სულ 8700 ბავშვის ისტორიაა გახსნილი.

***– საინტერესოა, თუ გქონიათ ჩვილ ბავშვთა საგანგებო საშიში სამედიცინო მდგომარეობა?***

– კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებზე – ფონიჭალიდან ზაჰესამდე მიმაგრებულნი არიან პოლიკლინიკის პედიატრები, რომლებიც პატარებს ადგილზევე უტარებენ ამბულატორიულ კონსულტაციებს. ასეთი შემთხვევა გვქონდა. კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტების უმრავლესობის არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული მდგომარეობა რეალურ საფრთხეს უქმნის ბავშვებში ინფექციების გავრცელებას. წინა წლებში აღინიშნებოდა დიფტერიის ეპიდემიის გავრცელება სასტუმრო „ივერიაში“, წითელას – სასტუმრო „კავკასიაში“, მაშინ ჩვენმა კოლექტივმა დიდი შრომა გასწია.

***– ამ გაჭირვების ჟამს, თუ გეხმარებათ ვინმე?***

– პოლიკლინიკა ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს საქართველოში მოქმედ ჰუმანიტარულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მედიკამენტებით გვამარაგებს ფირმა „MSF“ – „ექიმები საზღვრებს გარეშე“, აგრეთვე „GEORGIA FOUNPATION“, გვეხმარებიან ორგანიზაციები: **„წითელი ჯვარი“** და **„ამქორი“,** ასევე ჯანდაცვის სამინისტროს სააფთიაქო სამმართველო, 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება პრაქტიკულად სრულყოფილად ფინანსდება სახელმწიფო-სამედიცინო პროგრამით **„0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო დახმარების შესახებ“.**

ვინაიდან დაწესებულებას არ გააჩნია საკუთარი ლაბორატორია, ბავშვთა გამოკვლევები, ასევე პროფილაქტიკური აცრები ყოველივე მე-13 პოლიკლინიკის ბაზაზე ტარდება.

***– დღევანდელი სოციალური თუ ყოფითი პრობლემები, ცხადია, აისახება პატარების ჯანმრთელობაზე, მათ ზრდა-განვითარებაზე...***

– ჩვენდა სავალალოდ, ხშირია ნერვული სისტემის პათოლოგიები, რაც იმით აისახება, რომ დედების ფეხმძიმობა უამრავი ყოფითი და სოციალური პრობლემების ფონზე მიმდინარეობს. ამას ემატება ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არასაკმარისი და არასრულფასოვანი კვება, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდებზე.

***– ტრადიციულ პედიატრიაში რა არის აუცილებელი ბავშვის ნორმალური გაზრდისათვის? რას ურჩევდით მშობლებს?***

– აფხაზეთიდან დევნილ მშობლებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ შვილების გაზრდა. მათი უმრავლესობა ხომ უმუშევარია და ყოველთვიურად 11-ლარიან დახმარებას ელოდება. საშუალება არა აქვს ბავშვი ექიმთან მიიყვანოს, მას დროულად ვერ უტარებს საჭირო პროფილაქტიკურ და ლაბორატორიულ შემოწმებას, რაც ასე აუცილებელია მოზარდისათვის. სოციალურად მძიმე პირობებში ძნელია ბავშვი გაზარდო ისე, როგორც ამას ექიმები ვითხოვთ.

მაგრამ ერთი მინდა აღვნიშნო: მიუხედავად მათი ცხოვრების ცუდი პირობებისა, მაინც მრავლდებიან...

***– შემოტანილმა ჰუმანიტარულმა ვაქცინებმა ხომ არ გამოიწვია ბავშვების აცრისას პოსტვაქცინალური გართულება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ზუგდიდში?***

– საბედნიეროდ, ასეთი რამ ჩვენთან არ მომხდარა. 2004 წელს 2320 ბავშვს ჩაუტარდა აცრა და არც ერთ მათგანს გართულება არ ჰქონია. 3-დან 6 წლამდე ბავშვის ასაკი განსაკუთრებით საყურადღებოა. კარგად ვიცით, რომ განვითარების ამ პერიოდში ხდება ბავშვის ორგანიზმის ფუნქციონალური შესაძლებლობის სრულყოფა. განსაკუთრებით ხშირია ბავშვთა ინფექციები. ამიტომ ამ ასაკში პატარებს უტარდებათ სხვადასხვა სახის პოლიომიელიტის, წითელას, ყბაყურას და ჰეპატიტის აცრები. პოლიკლინიკებში ეს აცრები უფასოა, მხოლოდ ჰეპატიტის „B“-ს ვაქცინებაა ფასიანი.

***– თქვენ არაფერი გითქვამთ პოლიკლინიკის პრობლემებზე...***

– ბევრი პრობლემა მოსაგვარებელია. ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწირია და, ცხადია, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებაც ვერ ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიკლინიკა ძირითადად ამბულატორიული მიღებითა და პროფილაქტიკური გასინჯვებით შემოიფარგლება, რთული შემთხვევებისას ჩვენი ექიმები ჩვილ ბავშვებთან ადგილზე მიდიან, რაც, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძნელდება. ალბათ საჭიროა პოლიკლინიკის სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფა. არ მიგვიღია ბიუჯეტით გამოყოფილი 11 თვის ხელფასი, ასევე რამდენიმე თვის დახმარება „0-დან 3 წლამდე“ პროგრამული დაფინანსებიდან, და, რაც მთავარია, ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ: **თბილისის ამბულატორიულ-მუნიციპალური სამედიცინო დახმარების პროგრამა (3-დან 14 წლამდე) დევნილ ბავშვებზეც გავრცელდეს. ქალაქის ყველა სამედიცინო და ლაბორატორიული გამოკვლევები 14 წლამდე უფასოა, მხოლოდ დევნილი პაციენტი იხდის თანხას.**

**...გარეთ გამოსულს ბევრი პაციენტის მადლიერი მშობელი შემხვდა... და მეც ვფიქრობდი ამ პოლიკლინიკის პატიოსან, უანგარო, თეთრხალათიან ქალბატონებზე, რომლებიც თავს დასტრიალებენ, უვლიან და ეფუსფუსებიან პატარებს. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება, ისინი, ხომ ჯანსაღ თაობას არა მარტო აფხაზეთს, საქართველოს უზრდიან!**

**რიტა ჩაკვეტაძე.**



**სურათებზე: დევნილთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ლამზირა ზოდელავა და თანამშრომლები.**
**ჯავარ ლომაძს ფოტო.**

გზად თანაცხოვრებისკენ

# 6. ეს არის მდგომარეობა, როცა დემოკრატიული გარდაქმნებით ცივილიზებული განვითარებისკენ თანმიმდევრულად მივდივართ

## თაობა, რომელიც თავის თავს არ იცნობს ერის წარსულში, გაუნათლებელი და უკულტუროა

აქ, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ აფხაზეთს, როგორც ისტორიული მემკვიდრეობის კუთვნილების საკითხს: ისტორიკოს გიორგი ანჩაბაძეს ეს მემკვიდრეობა, რაღაც ორაზროვან დასკვნებში აქვს გაბნეული, რომელსაც სეპარატისტული მსჯელობისთვის საფუძვლად ბუნდოვანება დაედო საფუძვლად. ასეთი „მეცნიერულებით" თავის მხრივ ნათელა აკაბას აძლევს საშუალებას, ამტკიცოს ასეთივე „სამართლიანობა": «...Ýòà îáëàñòü èëàâàòñÿ òåì, ÷òî ãðóçèíû ïîâåëè ñåáÿ íå ïî-êàâêàçñêè...»

Ðàç ëèêâ-ðå÷ü øëà î XIX âåêå?

Íàòåëà Àêàáà- Äà, î XIX âåêå. «Êîãäà (**ქართველებმა, ს.ს.**) çàñåëèëè îñâîáî-äèâøèåñÿ çåìëè» (გვ. 59).

მიუხედავად ასე მიზნობრივად თავსმოხვეული უწიგნურობისა, საბედნიეროდ, ამ საკითხების შესახებ დღეს აკრძალვები გადაისინჯა და სწორი ისტორიული მტკიცებულებები საკმაოდ და ხელმისაწვდომადაა გასაჯაროებული: გარდა საბჭოთა ნაყალბევი ისტორიისა, ვერსად ვერ შეხვდებით დებულებას იმის შესახებ, რომ აფხაზეთი – საქართველო, ხოლო აფხაზი ქართველი არაა. უფრო მეტიც, სახელი, გვარი, მამის სახელი, წლოვანება და მისამართებია ცნობილი იმ მაჰაჯირების, რომლებიც XIX საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (ცხუმ-აფხაზეთიდან) იმდროინდელი თურქეთის იმპერიაში გაასახლეს და რომელთა 95 პროცენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენეტიკური ქართველია.

რუსეთის გეგმა, XIX საუკუნეში, როგორც მოგეხსენებათ, გულისხმობდა პირწმინდა ეთნიურ წმენდას აფხაზეთში, ისევე, როგორც სოჭის ოლქში, ისევ და ისევ ქართულ მიწაზე იმ დროს დამკვიდრებული უბიხების საყოველთაო დეპორტაციის მსგავსად. ის, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთმა აფხაზეთის აჯანყების შემდეგ აფხაზები დამნაშავე ხალხად გამოაცხადა, ესეც რამდენიმეჯერადი დივერსია იყო: 1. აფხაზი უკვე არაქართველად განიმარტებოდა; 2. ამით „მოკავშირე", ერთმორწმუნე ქართველთა რეპრესია შეინიღბა; 3. დამნაშავე ხალხის რეპრესიას „გამართლება" ჰქონდა. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროისთვის აფხაზეთში მოსახლეობა ჯერ კიდევ განიმხოლოება საკუთრივ აფხაზებად და „მთიელებად" (აფსუებად).

რაც შეეხება მაჰაჯირთა რეპატრიაციას, ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეს საჭიროა, ოღონდ სათანადო ეროვნული კონცეფციის საფუძველზე და მათი (მაჰაჯირების) რეაბილიტაციის, მათში ეროვნული სულის რეანიმაციის შემდეგ.

ის, რომ აფხაზეთში მაჰაჯირობას ნაწილობრივ გადაურჩა მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა მეხსიერებამაც ადვილად გაიგნო გზა მშობლიური ფესვებისკენ, ანუ სრულიად საქართველოს სისხლ-ხორცმა აფხაზებმა, ე. ი. იგივე ქართველებმა და მათთან ერთად გადარჩნენ სახლიკაცი აფსუები, ეს არის ქართველი მღვდემსახურების, განმანათლებლობისა და საზოგადოებრივი აზრის თანადგომის დამსახურება: მართლმადიდებლობისკენ მიბრუნებული ხალხი არ წავიდა თურქეთში.

აი, ასეთია ის ზნეობრივი სისუფთავე, რაც ამ ქართულ მიწაზე, როგორც აფხაზების (ქართველების), ასევე აფსუების მიმართ შემოუძლვა ქართველებს, რომელთაც ნათელა აკაბა არაკავკასიურ საქციელს ეძახის და ამაზე უკმაყოფილების თუნდაც ზედაპირულად გამომხატველი არ აღმოჩნდა ე.წ. ქართულ ბანაკში.

«Àáõàçèÿ íå ìîæåò îòîðâàòüñÿ îò Ñåâåðíîãî Êàâêàçà» (**ოლეგ დამენია,** გვ. 218);

«Äëÿ ìîõðàíåíèÿ ñîáñòâåííîãî ÿçûêà è êóëüòóðû àáõàçàì íåîáõîäèìî óêðåïëÿòü ñâÿçè ñ ðîäñòâåííûìè íàðîäàìè Ñåâåðíîãî Êàâêàçà» (**ნათელა აკაბა,** გვ. 225).

ამასთან დაკავშირებით ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ კავკასიელმა ხალხმა თავი უნდა მოიაზროს იბერიული კავკასიის ერთიან სოციო-კულტურულ სივრცესა და დროში. ამიტომ, ნათელა აკაბას ვითომ კავკასიურ ერთიანობაში იგულისხმება რუსეთის მიერ შეკოწიწებული, ე.წ. ჩრდილო-კავკასიის ხალხთა კონფედერაციული კოალიცია საქართველოს, ანუ კავკასიის, ე.ი. იბერიულ-კავკასიური რასისა და ცნობიერების წინააღმდეგ. იგი არის რუსული აგრესია თავის იბერიულ მეხსიერებასა და ჯიშში კავკასიის კვლავ აღდგომის დასანგრევად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კავკასიის ხალხთა ანტიიმპერიულ საერთო ფორმაციასთან.

ამიტომ სწორია, როცა ნათელა კვარცხლია ე.წ. აფხაზური მხარის სახელით ამბობს: «Ì û âî ìíîãîì ïîõîæè íà ÷å÷åíöåâ, ÷òî ãðóçèíû ìîãëè áû è ïðåäâèäåòü» (გვ. 228), ოღონდ ვერ დაუკვირდებიან.



აქვე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღება მოვუდუნოთ რუსეთის ისეთ ვერაგობას, როგორიცაა აფხაზეთური რეჟიმის პირობებში მინგრელცური სეპარატიზმის გაღვივება და მისი გახვევა დემოკრატიის ზეწარში: «Ãðóçèíñêîå îáðàçîâàíèå íå â èíòåðåñàõ ñàìîãî ãàëüñêîãî íàñåëåíèÿ, ÷òî ïîíèìàþò è ñàìè àäàïòàöèþ êîíâûì óñëîâèÿì æèçíè» (**ნათელა აკაბა,** გვ. 232). „ადაპტაცია" და ცხოვრების „ახალი პირობები" წარმოადგენს იმ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალ რეგლამენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს საზღვარი წიფის გვირაბთან, როგორც ჩანს, ეგოპარანოიკული თაობის შთაგონებულ ნიჭს – საღალატო თავაწყვეტაში ახალ - ახალი სიმაღლეები დაიპყროს, წინასწარ ვერ განსაზღვრავ, იგი სათავზარო მოულოდნელობაა: ამ ე.წ. კონფერენციაზე ვინმე ალექსანდრე ისკანდერიანმა წარმოადგინა მოხსენება (ბეზღობის პატაკი) 2001 წლის 16-19 ოქტომბერს კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, მაშინ აქ, ქართველებსა და სეპარატისტულ რეჟიმს შორის ინსპირირებულ იქნა შეიარაღებული კონფლიქტი, რომლის დროსაც ე.წ. ქართველ მებრძოლთა მხარდამხარ აღმოჩნდნენ ჩეჩნებიც.

ვინაიდან, ეს ყველაფერი ვერ გადაიზარდა სამამულო ომის წარმოებასა და იბერიულ-კავკასიური საერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში, იგი მკვდრადშობილი აღმოჩნდა და შექმნა პირობები ახალ-ახალი პროვოკაციების საბაბისთვის რუსეთის მხრიდან.

ა. ისკანდერიანის ქვეგამხედვარე საბრალდებო დასკვნას ზურგის ქარად დაუდგა წინამდებარე პროექტის «Àíòîëîãèÿ Ãðóçèíî-Àáõàçñêîãî êîíôëèêòà»-ს მთელი შემადგენლობა, მათ შორის ქართული მხარე. საყურადღებოა, რომ ამ ღვარძლიანი მოხსენების მიზანი გახლდათ „შეეკერა" კოდორ-პანკისის ტერორისტული კოალიცია, აქედან გამომდინარე, განმარტებებითა და დასკვნებით. ამის საფუძველზე კი რუსეთს შეექმნებოდა თავაუტკივებელი საბაბი კოდორსა და პანკისში მშვიდობისა და წესრიგის დამყარების ნიღაბის ქვეშ, შეუზღუდავად განევითარებინა შეიარაღებული ძალმომრეობა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ „საქმის გარჩევას" პაატა ზაქარეიშვილის ჩასაფრებულმა „წყობილსიტყვაობამ" დაუდასტურა, რომ «...... ïî êðàéíåé ìåðå, ñ ãðóçèíñêîé ñòîðîíû âñå ýòî ãîòîâèëîñü ...» (გვ. 286), ხოლო გალიაშვილებულმა ნოდარ სარჯველაძემ ბეჟანიშვილის კვარცხლბეკიდან შეახამა ჩასაფრებულები: «...... ÷òî íå ìîãëè áû ñïðàâèòüñÿ àáõàçû (**ისკანდერიანი,** – ს. ს.) çà òî, ÷òî ïî îáúåêòèâíûì ïðè÷èíàì íå âûïîëíåíî» (გვ. 281).

ევროპულ ოჯახში, ამ აღამიანებს არა აქვთ გრძნობა „ცეცხლის ბანაკში იყო გამოძიებისა..."; ამიტომ, საკუთრივ ლეგი ანაა მათი ხელგაშლილობა. ყველაზე დიდი სიხარული და ოცნებაც ამ ბოლომდე შემშვიდებულმა რეგიონებმა.. რომლის ეგოისტურ წინაშე.

ჭებს, მოსალოდნელ მეგობრებს, თანამზრახველებს, მოკავშირეებსა თუ თანამზრახველებს, რომლებიც ხელიდან ხელში უნდა დაეძებს ერის ხალხის სიმაგრეებს და ჩაქრეს ეროვნული თვითმყოფადობა.

...ღრმა, შეუმჩნეველ და ვაჟკაცობრივ, როცა დაასაბუთებ შენს ღირსებას, ისე, როგორც საქართველოს სწორი ისტორიის არსობრივ გაყალბებას, აფხაზეთის საკითხი არათუ ვერ გადაწყდება, ჩვენ ვუახლოვდებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს სამისდღემშიო გასხვისების წინა დღეს, ხოლო „ქართულად" დარჩენილ ქვეყანაში ჩამორჩენილობის ამსახველი იქნება სახელები აღმაშენებელი, ჭყონდიდელი და ბაგრატ III, ქუჯი და ფარნავაზი, პეტრიწი და რუსთაველი, ვაჟა და ილია, გალაკტიონი და დიდოსტატი კონსტანტინე. მათთვის ჩვენ დავდგინდებით ე.წ. განვითარებად, უფრო ზუსტად, სერვისულ-კორიდორული მომსახურების ქვეყნად.

არის უფლისეული აუცილებლობა: შვილმა უნდა იცოდეს, სად შეჩერდა მამა და რა უნდა განაგრძოს, ასეთია ბუნებრივი მონაცვლეობა დროსა და სივრცეში.

აფხაზეთი ჩვენი ოდაბადეა – სანამ ამას ხმამაღლა არ ვიტყვით, არ იქნება აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგია სწორ მსოფლმხედველობაში მოაზრებული: კოლხთა ჯიშისმიერი სივრცე აფხაზეთი იყო ჩვენი ქართული თვითიდენტიფიკაციის საწყისი, როგორც კი გვათქმევინეს უარი ასეთ ცნობიერებაზე, ჩვენ ეს ქართული მხარე დავკარგეთ.

როდესაც ეცნობი მასალებს, გინდა და მოხარულიც იქნები, რომ ე.წ. აფხაზურ მხარესთან შეთანხმება მოხდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ამ მიზანს არ ატარებს, პირიქით: როცა ე.წ. შეთანხმება გარიგების სახეს იძენს, ხოლო ამ გარიგების საგანი სინდისია, მე მირჩევნია სინდისი დავიცვა და ჩემი პიროვნული კეთილდღეობის ხარჯზე სამშობლო არ დავაღალატო. არანაირი სურვილი და მიზანი, ვთქვათ – კეთილიც კი, არ იძლევა ისტორიული სისწორის გაყალბების უფლებას. ყველაფერს თავისი სწორი სახელი უნდა ერქვას, – მხოლოდ თავისი სწორი და ღირსეული სახელით აღმდგარი ერი, რომელმაც იცის, რა უნდა, არის გამარჯვების მიმღწევი, მხოლოდ საკუთარი ეროვნული მეხსიერებით მოღვაწე საზოგადოება მოუტანს სამშობლოს ნამდვილ თავისუფლებას.

...ჟამთაბერმა არ იცის შემთხვევა დროსა და სივრცეში, ურგებ მონათა დიდმპყრობელობას კამარა შეეკრას, იგი ვერც წინამდებარე საძრახი, კაპიტულანტური თავის კანტურით გაგვიძღება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსკენ (ცხუმ- აფხაზეთისკენ).

ამიტომ, აფხაზეთის წმინდა საქმეში ხელის ფათურისას, არავინ, არამც და არამც არ გამოიყენოს ისეთი ლექსიკა და ლოგიკა, რომელიც დააკანონებს დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგებს აფხაზეთში და ქვეყნის წინაშე თავს მოუყრის გაუთვალისწინებელ პრობლემებს, რომელზეც პასუხისმგებლობას თვითონ არ აიღებს, – გადააბარებს მომავალს.

ქართველმა ერმა თავი უნდა დააღწიოს არა მხოლოდ დერეფნის მომსახურედ დადგენას, არამედ, მან უნდა შეძლოს მოიძიოს ერის განვითარება-გაძლიერების ყველაზე ნაცადი, წინაპრების მიერ დადასტურებული გზა.

რაც მთავარია, ადამიანი ეროვნული ცნობიერების გარეშე სულიერი ხეიბარია. ამიტომ თუ დროზე არ დავძლიეთ ჭაობური დემოკრატიის მიერ თავსმოხვეული ეს უამრავი სიმახინჯე, მაშინ წინამდებარე თაობა, თავისი ძველი თუ ახალგაზრდული ნაწილით, სამარცხვინოდ შევა ქართველი ერის ისტორიაში და ჟამთაბერი მოღალატის ბოძზე გააკრავს მას.

ეს მომავალში – დღეს კი მისი სამოღვაწეო მიზანი, ერთგვარი სიამაყითაც, ამგვარადაა დაზუსტებული: „მაგრამ, ქართული, მახინჯი მენტალობის აღმოფხვრა, ბუნებრივია, თერთმეტ თვეში წარმოუდგენელი აღმოჩნდა..." (ნინო კაკაბაძე, „24 საათი", 2004 წ. 22 ოქტომბერი).

მხოლოდ ასეთი უნდობარი სიცხადის დანახვის საშუალებას იძლევა ზემოთ ხსენებული ე.წ. ქართული მხარის საქმიანობა ამ ავადსახსენებელ ცრუ სახალხო მოლაპარაკებებზე.

რანოიკული საზოგადოების ჩასაფრება ეროვნულ მეხსიერებასა და ყოფაქცევას საალყოდ გარშემოეწყობა, მისი მიზანია მშობლიური ძალისხმევის დამარცხება. არც ერთი ჭირი და სენი ისე არ გამოხრავს, ისე არ ასახიჩრებს ადამიანს, როგორც ეროვნული მეხსიერების დასაჭურისება. ეროვნული სული ისეთივე სხეულებრივი განსაგნებაა, როგორც ადამიანის ხორციელი სახე და იგი განაპირობებს ადამიანის უძლეველობას. მხოლოდ ეროვნული მეხსიერებით დაჯილდოებული ადამიანები აღწევენ ღვთით დადგენილ გამარჯვებას.

### მონური გონების (ურგებ მონათა) დიდმპყრობელობა, ანუ საბედისწერო სიცხადე დასკვნაში

თაობა, რომელსაც არ გააჩნია სინანულის საიდუმლო (აღსარება), არც სურვილი აქვს, ვერც შეძლებს განწმენდას. იგი ამკვიდრებს სიძულვილის პოლიტიკას და ძალადობას ქართველი ერის აზროვნების წინაშე.

საბედნიეროდ, სრულიად საქართველოს ეროვნული მეხსიერება უკიდეგანობიდან მოდის და უკიდეგანობაში გადადის, იგი არ არის ერთი თაობისთვის ხელმოსაკიდი ჯიბის საგანი, – ის ზედროულია და ღირებული, სიწმინდეშეურყვნელი.

აფხაზეთში ჩვენ უნდა შევიდეთ, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ შინაარსში, თავის ქართულ, ე.ი. აფხაზურ მოაზრებაში და არა ისე, როგორც უვიცობაში მოხვიხვინე ეგოპარანოიკული საზოგადოება გვთავაზობს, – ვითომცდა ქართული სახელმწიფოს ეთნიურად „არაქართულ" ნაწილში (ეს იდეალურ შემთხვევაში, თორემ ეს საზოგადოება მზადაა აფხაზეთის პირწმინდა გასხვისებისთვის). ეროვნულ-სახალხო მიზნის მისაღწევად საჭიროა აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიაში საფუძვლად ისტორიული სისწორე დავამკვიდროთ და არა ავანტიურული ეთნოფაბრიკაციების შედეგი.

მკაცრია და ვერაგი წინამდებარე გარემოება: ქართველი ერის გონება, მისი შეგნება, აზროვნების წესი და ყოფითი ყოველდღიურობის წესრიგი მონური დიდმპყრობლობის სამიზნე გახდა და მან იგი გადასხვაფერებას, უფრო სწორად, გაუკუღმართებას დაუქვემდებარა: ჩვენ გვიყალბებენ ღირსეულ ღირებულებებს და გვაიძულებენ დაგვაჯერონ ცრუ „ფასეულობათა" აუცილებლობაში. ასეთ გზაკვალარეულ თაობაში აგრესიული გლობალიზმი ჩვენთან პოულობს თავის ხელის ბი-

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 13, 14, 16, 19, 23.**

**სერგი საჯაია,**
**საქართველოს ეროვნული აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი, პუბლიცისტი.**



# ერაყში ხმების დათვლა დაიწყეს

**ერაყში დასრულდა ამ ბოლო 50 წლის განმავლობაში გამართული პირველი მრავალპარტიული საყოველთაო არჩევნები. საარჩევნო კომისიის მონაცემებით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 8 მილიონმა ერაყელმა – რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რიცხვის 60 პროცენტზე მეტმა.**

როგორც მოელიან, წინასწარ შედეგებს დაახლოებით 6 დღეში გამოაქვეყნებენ, ხოლო საბოლოო შედეგების გამოცხადებას კი სულ ცოტა 10 დღე მაინც დასჭირდება.

ამომრჩეველთა აქტიურობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ ქვეყნის რომელ ნაწილში იმართებოდა არჩევნები. მაგალითად, ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა დაფიქსირდა შიიტ-მუსლიმანებით დასახლებულ რეგიონებში და იმ რაიონებში, სადაც ქურთები ცხოვრობენ, მუსლიმან-სუნიტთა მონაწილეობის მაჩვენებელი კი ძალზე დაბალი იყო.

არჩევნების დღეს განხორციელდა რამდენიმე თავდასხმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთა შედეგადაც დაიღუპა სულ ცოტა 36 კაცი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც ამ არჩევნებს უწოდა „უდიდესი წარმატება" და დასძინა, რომ ერაყელმა ამომრჩევლებმა უარი უთხრეს ტერორისტებს და მათ იდეოლოგიას.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ არჩევნებმა დარტყმა მიაყენა ტერორიზმს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ერაყში გამართულ არჩევნებს ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი უწოდა.

სოციოლოგიური მონაცემებით, ერაყში მცხოვრებ სუნიტ-არაბთა 76 პროცენტმა არჩევნების დაწყების წინ განაცხადა, რომ არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას და მხოლოდ 9 პროცენტი აპირებდა საარჩევნო უბნებში მისვლას. სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში სწორედ სუნიტური თემის წარმომადგენლები დომინირებდნენ.

ერაყის გარდამავალ ეროვნულ ასამბლეაში 275 ადგილის მოსაპოვებლად 200-ზე მეტი პარტიისა და კოალიციის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

# აბასს მოსკოვის დახმარების იმედი აქვს

**პალესტინელები დიდ იმედებს ამყარებენ რუსეთის როლზე ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების საქმეში, განაცხადა მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან მოლაპარაკების დროს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა.**

რუსეთი არის ეგრეთ წოდებული „საგზაო რუკის" – სამშვიდობო გეგმის ერთ-ერთი სპონსორი, რომლის რეანიმაციაზეც დიდ იმედებს ამყარებს აბასი. „მე გავაკეთე ყველაფერი იმისთვის, რომ რუსეთი გამხდარიყო პირველი მეგობარი სახელმწიფო, რომელსაც ვეწვეოდი. ეს ნიშნავს იმას, რომ პალესტინელი ხალხი დიდი პატივისცემით ეკიდება რუსეთს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ხალხისთვის", – თქვა აბასმა.

იანვრის დამდეგს პალესტინის ელჩმა რუსეთში ჰაირი ალ-ორიდიმ ბიბი-სის რუსული სამსახურის პროგრამა „რადიუსის" ეთერში აღნიშნა, რომ მაჰმუდ აბასი ჯერ ეწვევა მოსკოვს, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავა ვაშინგტონში. „ნუ დაგავიწყდებათ, რომ მაჰმუდ აბასი რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია", – დასძინა ელჩმა.

მაგრამ, როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, სინამდვილეში საქმე ოდნავ სხვაგვარად არის: რუსეთი, ევროპის ქვეყნები და გაერო მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში, რომელშიც ერთადერთი რეალური ძალა არის ამერიკის შეერთებული შტატები.

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულ აბასს მოლაპარაკებათა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რაუნდი ელის.



# აფეთქება დუშანბეში

**დუშანბეში, ტაჯიკეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს შენობასთან, აფეთქდა ავტომანქანა. დაიღუპა ერთი ადამიანი.**

აფეთქება მოხდა ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე, ტაჯიკეთის პრეზიდენტის სასახლიდან დაახლოებით ერთ კილომეტრ მანძილზე. წინასწარი მონაცემებით, აფეთქდა საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს შენობის მახლობლად გაჩერებული „გაზ-24" მარკის ავტომანქანა. სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, მანქანაში ჩადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამჟამად მილიცია განიხილავს რამდენიმე ვერსიას, მათ შორის ტერორისტულ აქტსაც.

დაღუპულის ვინაობა ჯერჯერობით არ არის დადგენილი, თუმცა, ვარაუდობენ, რომ იგი აფეთქებული ავტომობილის მძღოლი უნდა იყოს.

დაიჭრა ასევე ოთხი ადამიანი. თვითმხილველთა თქმით, აფეთქების ტალღამ ჩაამსხვრია მინები სამინისტროს მეზობლად განლაგებულ შენობებში.

სამხედროთა შეფასებით, ავტომანქანის საბარგულში, სავარაუდოდ, რამდენიმე კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება უნდა ყოფილიყო.

ხანძარი გაჩნდა ასევე ტაჯიკეთის უშიშროების სამინისტროს შენობაში. ცეცხლის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია.

# გერმანიაში უმუშევარ ქალებს მეძავებად მუშაობას სთავაზობენ

**გერმანიაში შრომითი კანონმდებლობის რეფორმამ გამოიწვია ის, რომ ახლა 55 წლამდე ასაკის უმუშევარმა ქალებმა, შესაძლოა, მეძავობას მიჰყონ ხელი.**

საქმე ის არის, რომ პროსტიტუციის ლეგალიზაცია გერმანიაში ორი წლის წინათ მოხდა და მას შემდეგ ეს ისეთივე საზოგადოებრივად სასარგებლო და კანონით ანაზღაურებად საქმიანობად ითვლება, როგორც ნებისმიერი სხვა სამუშაო. გარდა ამისა, უმუშევრობის შესახებ კანონმდებლობის რეფორმის შემდეგ, ადამიანს, რომელიც იღებდა დახმარებას 12 თვის განმავლობაში, ახლა შეიძლება აიძულონ მუშაობის დაწყება თავისუფლების აღკვეთის მუქარით.

კანონმდებლები ცდილობდნენ ამ ნორმიდან გამოერიცხათ საროსკიპოები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი გარჩევა ხშირად შეუძლებელია ბარებისა და სხვა ფართო პროფილის გასართობი დაწესებულებებისგან. თანაც, ახლა, საროსკიპოთა მფლობელები, ისევე როგორც სხვა დამსაქმებლები, იხდიან გადასახადებს და სოციალური დაზღვევის ფულს.

პრობლემები იმ უმუშევარ ქალებს, რომლებსაც არ სურთ მუშაობა საროსკიპოებში, შეექმნათ მას შემდეგ, რაც სუტენიორებმა დაიწყეს სარგებლობა შრომის ბირჟის ბაზებით მუშაკების მოსაძებნად. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიათა დარგის სპეციალისტმა ქალმა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოფიციანტად მუშაობდა და სურდა გამოენახა სამუშაო თავისი პროფილის მიხედვით, უმუშევრობის გამო დახმარება დაკარგა, რადგან უარი თქვა საროსკიპოში მუშაობაზე. შრომის ბირჟიდან მან მიიღო სტანდარტული შეტყობინება იმის თაობაზე, რომ პოტენციური დამსაქმებელი დაინტერესებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის სპეციალისტით, მაგრამ ეს ქალბატონი ძალზე აღშფოთებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ მის დასაქმებას არა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, არამედ საროსკიპოში აპირებდნენ.



# მოკლედ

**ჩინელი მეწარმეები აპირებენ... თევზისგან გამოხდილი ლუდის გაყიდვას.** ექსპერტთა დასკვნით Dalian Fisherman's Sond Maritime Biological Brewery ფაბრიკაში ჩამოსხმული ლუდი შეიცავს მრავალ სასარგებლო ნივთიერებას და მცირე რაოდენობით ალკოჰოლს. ჩინელმა „მეცნიერებმა" ამ ორიგინალური პროდუქტის მოწოდების შეკვეთები უკვე მიიღეს რუსეთიდან და იაპონიიდან.

* * *

**ისრაელის პარლამენტის შენობასთან,** სადაც ამ ბოლო თვის განმავლობაში მრავალი კარავი აღმართეს ღაზის სექტორიდან წასვლის თაობაზე არიელ შარონის



გეგმის მოწინააღმდეგეებმა, შეიკრიბა 150 ათასამდე დემონსტრანტი. ისინი პროტესტს აცხადებენ შარონის გეგმის წინააღმდეგ. წესრიგის დასაცავად ხელისუფლებამ ორი ათასამდე პოლიციელი გამოიყვანა.

* * *

**ვიეტნამში „ფრინველის გრიპით"** გარდაიცვალა 13 და 10 წლის ასა-



კის ორი ბავშვი. ამრიგად, ვირუსით დაავადებულ ადამიანთა რიცხვმა 14-ს მიაღწია. რომელთაგან 12 უკვე გარდაიცვალა.

* * *

**გარდაიცვალა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს დედა.** პა-



ნაშვიდი გაიმართება კიევის ვლადიმერის ტაძარში, იტყობინება უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახური. განსვენებულს დაკრძალავენ მშობლიურ სოფელ ხორუჟივკაში მისი მეუღლის – ანდრეი იუშჩენკოს გვერდით.

* * *

**მეცნიერებმა ტვინის უჯრედებში აღმოაჩინეს „ახალგაზრდობის ცილა".** ეს კომპონენტი იცავს უჯრედებს დაშლისგან და ასეთი გზით უხანგრძლივებს მათ სიცოცხლეს. მეცნიერთა აღმოჩენა შესაძლებელს გახდის სიბერესთან დაკავშირებული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ეფექტიანი საშუალებების გამოძებნას.

ჭორები რეგიონულ დონეზე

# რუსეთი ჩეჩნეთს დათმობს?

**რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამ დღეებში გამოჩნდა ცნობა, რომ პრაქტიკულად ხელმოწერილია ხელშეკრულება ჩეჩნეთთან უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ. იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ეს დოკუმენტი მეამბოხე რესპუბლიკას ისეთ სტატუსს ანიჭებს, რომელზეც თვით დუდაევიც კი ვერ იოცნებებდაო.**



ბუნებრივი რესურსების (იგულისხმება ნავთობი) მოპოვების, მათი ტრანსპორტირებისა და რეალიზაციისთვის ჩეჩნეთი არ გადაიხდის არანაირ გადასახადს. უფრო მეტიც, მთელი შემოსავალი სრული მოცულობით ჩაირიცხება ჩეჩნეთის ბიუჯეტში. თანაც, რუსეთი, ამასთან, ყოველწლიურად რესპუბლიკას გამოუყოფს კრედიტს 100 მილიონი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, მოსკოვი არც იმას მიადევნებს თვალყურს, თუ როგორ დაიხარჯება ეს ფული, და საერთოდ, „არანაირად არ ჩაერევიან რუსეთის ძალოვანი სტრუქტურები ჩეჩნეთის საშინაო საქმეებში".



# აფხაზეთში ამერიკელი მშვიდობისმყოფელები გამოჩნდებიან?

**ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის" ლიდერების თებერვლისთვის დანიშნულ სამიტზე, რუსეთს, შესაძლოა, შესთავაზონ, რომ მისი სამშვიდობო კონტინგენტი აფხაზეთში გაძლიერდეს ამერიკელი „ცისფერჩაჩქანიანებით". ასეთი ხმები გავრცელდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ.**

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცმა" გაარკვია, ამერიკელთა მხრიდან ასეთი ინიციატივის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ, ისევე როგორც იმას, რომ პუტინი, ალბათ, არ დაეთანხმება ამ წინადადებას.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ახლა ამერიკელთათვის ძალზე აქტუალური გახდა. მიმდინარე წლისთვის ხომ დაგეგმილია კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბება, რის შემდეგაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების საკითხის დასმა, პრაქტიკულად, უკვე გარდაუვალი იქნება. ამიტომ, სანამ, კოსოვოს აღიარებდნენ, ეს რესპუბლიკები უნდა „შერეკონ" საქართველოს შემადგენლობაში. ამისთვის კი, საჭიროა რუსი მშვიდობისმყოფელების გამოყვანა კონფლიქტის ზონებიდან...

# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს **კვების პროდუქტების შესყიდვაზე** და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – კვების პროდუქტები**
**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

კვების პროდუქტების ჩამონათვალი

| დასახ. № | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | კგ | 75000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 2 | [illegible] | კგ | 36000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 3 | [illegible] I [illegible] | კგ | 120000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 4 | [illegible] II [illegible] | კგ | 90000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 5 | [illegible] | კგ | 450 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 6 | [illegible] | კგ | 45000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 7 | [illegible] | კგ | 8000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 8 | [illegible] | კგ | 8000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 9 | [illegible] | კგ | 90000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 10 | [illegible] | კგ | 30780 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 11 | [illegible] | კგ | 4360 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 12 | [illegible] | კგ | 5000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 13 | [illegible] | კგ | 2165 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 14 | [illegible] | კგ | 37500 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 15 | [illegible] | კგ | 6750 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 16 | [illegible] | კგ | 5000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 17 | [illegible] | ცალი | 150000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 18 | [illegible] | კგ | 30000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 19 | [illegible] | კგ | 1250 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 20 | [illegible] | კგ | 185 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 21 | [illegible] | კგ | 120 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 22 | [illegible] | კგ | 875 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 23 | [illegible] | კგ | 1875 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 24 | [illegible] | [illegible] | 875 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 25 | [illegible] | კგ | 600 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 26 | [illegible] | კგ | 255000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 27 | [illegible] | კგ | 45750 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 28 | [illegible] | კგ | 1550 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 29 | [illegible] | კგ | 37500 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 30 | [illegible] | კგ | 37500 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 31 | [illegible] | [illegible] | 15000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |
| 32 | [illegible] | კგ | 5000 | 01.04.05–31.12.05 | ქ. თბილისი |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

– ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

– ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას სუბკონტრაქტორის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი ძირითადი საკვალიფიკაციო მონაცემები.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს:

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 21 თებერვლის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 22 თებერვლის 17 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებებში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 28 თებერვალს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 4 მარტის 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 4 მარტის 15 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად ლიცენზიები და ან ნებართვები „კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 37-63-84. 94-09-25.

---

საქართველოს სახელმწიფო შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს **საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე** და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – საწვავ-საპოხი მასალები**
**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

საწვავ-საპოხი მასალების ჩამონათვალი

| დასახ. № | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | ლ | 160000 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 2 | [illegible] L-62 | ლ | 190000 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 3 | [illegible] | ლ | 70000 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 4 | [illegible] | ლ | 3000 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 5 | [illegible] | ლ | 600 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 6 | [illegible] | კგ | 430 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |
| 7 | [illegible] | ლ | 2200 | 01.04.05–31.12.05. | ქ. თბილისი |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

– ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

– ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას სუბკონტრაქტორის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი ძირითადი საკვალიფიკაციო მონაცემები.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს:

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 21 თებერვლის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 22 თებერვლის 17 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებებში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 28 თებერვალს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 4 მარტის 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 4 მარტის 15 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად ლიცენზიები და ან ნებართვები „კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 37-63-84. 94-09-25.

---

საქართველოს სახელმწიფო შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს **რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შესყიდვაზე** და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – რბილი ინვენტარი და უნიფორმა**
**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის ჩამონათვალი

| დასახ. № | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | კომპლ. | 2800 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 2 | [illegible] | კომპლ. | 1000 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 3 | [illegible] | წყვ. | 2800 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 4 | [illegible] | კომპლ. | 1000 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 5 | [illegible] | ც | 2800 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 6 | [illegible] | კომპლ. | 500 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 7 | [illegible] | ც | 2800 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 8 | [illegible] | ც | 1000 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 9 | [illegible] | ც | 1000 | [illegible] | ქ. თბილისი |
| 10 | [illegible] | კომპლ. | [illegible] | [illegible] | ქ. თბილისი |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად აგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**დამატებითი მოთხოვნები:**

– ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

– ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას სუბკონტრაქტორის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი ძირითადი საკვალიფიკაციო მონაცემები.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს:

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 15 თებერვლიდან 2005 წლის 21 თებერვლის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 22 თებერვლის 17 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებებში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 28 თებერვალს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა №12, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.**

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 4 მარტის 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 4 მარტის 15 საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად ლიცენზიები და ან ნებართვები „კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 37-63-84. 94-09-25.

---

## სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ განცხადება

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მუშაკთა სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სს „თბილავიამშენში“ მიმდინარეობს საწარმოს თანამშრომლებზე უსასყიდლო აქციების გადაცემის პროცესი.

მუშაკთა კატეგორიები, რომლებსაც ეკუთვნით სს „თბილავიამშენის“ უსასყიდლო აქციები:

ა) მუშაკები, რომლებისთვისაც სს „თბილავიამშენი“ **2002 წლის 7 მარტისთვის** წარმოადგენდა ძირითად სამუშაო ადგილს;

ბ) მუშაკები, რომლებსაც კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ სს „თბილავიამშენში“;

გ) პენსიონერები, რომლებსაც პენსიაზე გასვლამდე გააჩნდათ საწარმოში მუშაობის არანაკლებ **5 წლის სტაჟი**;

დ) მუშაკები, რომლებიც შემცირებული არიან საწარმოს მიერ **2001 წლის 7 მარტიდან 2002 წლის 7 მარტამდე** და ამ პერიოდში რეგისტრირებული იყვნენ, როგორც უმუშევრები.

სს „თბილავიამშენის“ უფასო აქციათა მიმღებ პირთა დაზუსტების მიზნით ზემოაღნიშნული კატეგორიების მუშაკებს ვთხოვთ გამოცხადდნენ სს „თბილავიამშენის“ კადრების სამმართველოში **2005 წლის 15 თებერვლამდე.**

**მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა 181. ტელეფონი: 70-78-82.**

**სს „თბილავიამშენის“ ადმინისტრაცია.**

---

მიმდინარეობს შპს **„გაზაფხული-2000“-ის** ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ მისამართზე: ალ. ყაზბეგის № 41, ბინა 15.

**საზოგადოების დირექცია.**

---

მიმდინარეობს სსიპ **„მეტროლოგიის ცენტრის“** ლიკვიდაცია. დაინტერესებული ორგანიზაციები და კერძო პირები გამოგვეხმაურონ. თბილისი, ჩარგლის № 67.

**ტელ: 61-27-44; 61-18-03.**

---

მიმდინარეობს სსიპ **„აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს“** ლიკვიდაცია. დაინტერესებული ორგანიზაციები და კერძო პირები გამოგვეხმაურონ – ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. № 67.

**ტელ: 95-14-70**

---

უქმდება შპს „ზიპ“. შექმნილია სალიკვიდაციო კომისია.

**მისამართი: წერეთლის 118. ტელ: 35-20-38.**

---

## შევნიშნავთ, ვასწორებთ

„საქართველოს რესპუბლიკის“ 27 იანვრის საგაზეთო ინტერვიუში – **„რეპრესირებულთა სულებმა თავი შეგვახსენეს“** ბოლოდან მე-5 აბზაცი უნდა იწყებოდეს ასე: **„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიხსენეს გერმანელი ფილოსოფოსის ფიხტეს ნათქვამი“...** შემდგომ, როგორც ტექსტშია.

---

## გვირეკავენ გვეკითხებიან

**– ვარ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაინვალიდებული პირი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ მეკუთვნის თუ არა შეღავათი წყლის საფასურის გადახდისას?**

**ნინო გუდაძე.**

– ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული პირები მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადასახადზე სარგებლობენ 100-პროცენტიანი შეღავათით.

* * *

**– პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში ვის აქვს მის მიერ მიუღებელი პენსიის მიღების უფლება?**

**ოთარ გიგიაშვილი.**

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდაცვლილი პენსიონერის მიერ მიუღებელი პენსია უპირველესად მიეცემათ მისი ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც განეკუთვნებიან მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიით უზრუნველსაყოფ წრეს. მსგავს შემთხვევაში მიუღებელი პენსია ეკუთვნით აგრეთვე მშობლებსა და მეუღლეს მიუხედავად იმისა, არიან თუ არა შრომისუუნაროები და იმყოფებოდნენ თუ არა გარდაცვლილის კმაყოფაზე, ასევე შვილს, რომელიც მასთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრობდა.

ზემოაღნიშნულ პირებზე პენსია იმ შემთხვევაში გაიცემა თუ მათ პენსიის მისაღებად მიმართეს პენსიონერის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

* * *

**– განქორწინებული ვარ მეუღლესთან, რომლისგანაც როგორც შრომისუუნაროს მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დამენიშნა ალიმენტი.**

**მაინტერესებს იბეგრება თუ არა ალიმენტი საშემოსავლო გადასახადით?**

**ნანა ელბაქიძე.**

– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, ალიმენტის სახით მიღებული თანხა საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

* * *

**– ვარ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი. ვცხოვრობ სოფლად. წლების განმავლობაში გათავისუფლებული ვიყავი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გადასახადისაგან.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხომ არ მომეხსნება აღნიშნული შეღავათი?**

**ნოდარ ვარდიაშვილი.**

– ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები გათავისუფლებული არიან პრივატიზებული წესით მიღებული მიწის ნაკვეთის გადასახადის გადახდისაგან.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

ძიუდო

# ათენი თბილისში ლამაზი ფანდების კორიანტელით გაგრძელდა

(პირველი გვერდიდან)

შაბათს გამართულ ორთაბრძოლებზე უკვე გაუწყეთ, კვირას კი ოთხი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები ცდიდნენ ძალებს ტატამზე. პაექრობებს 12 ათასამდე გულშემატკივარი ადევნებდა თვალს ტრიბუნებიდან – ამდენი მაყურებელი კარგა ხანია, სპორტის სასახლეს არ ახსოვს. გაკვირვებას ვერ მალავდა ევროპის ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ბრიტანელი დენზელ უაითი – ამდენი ქომაგი საერთაშორისო ტურნირებზე კი არა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზეც არ მინახავსო.

რაღა შორს წავიდეთ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოისტთა ფინალებს შვიდი ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. ქართველ გულშემატკივართა მოზღვავება, ცხადია, ოლიმპიადაზე ზურაბ ზვიადაურისა და ნესტორ ხერგიანის წარმატებამ განაპირობა (ქომაგებს სურდათ, საქმეში ახლოდან ენახათ ელადის გმირები) და იმანაც, რომ ხალხს გამარჯვებების ხილვა მოსწყურდა...




ახლა კი კვირას გამართულ ორთაბრძოლებს დავუბრუნდეთ. საინტერესო გამოდგა პაექრობები 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში. გადამწყვეტი შეხვედრა გრიგოლ მამრიკიშვილსა და იაპონელ ეიგო ნოსეს შორის გაიმართა. მეორე წუთზე მამრიკიშვილმა ეფექტური მოგვერდით ვაზარი დაიმსახურა, რამაც უმალ გამოაფხიზლა ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი. გააქტიურებამ შედეგიც გამოიღო – მესამე წუთზე იაპონელის ფანდს, ასევე, ლაზათიანი გდება მოჰყვა. არბიტრი მხოლოდ ვაზარით დაკმაყოფილდა, თუმცა, იპონი უფრო უპრიანი იქნებოდა, ამიტომაც იყო, რომ ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ (მე-4 წუთზე მამრიკიშვილმა „გადავლებით" მეორე ვაზარსა და ოქროს მედალს გამოჰკრა ხელი) ტატამის კიდეზე ჩაცუცქულ აცრემლებულ ნოსეს კარგა ხანს ამშვიდებდნენ მეგობრები. საგულისხმოა, რომ ნოსეს და ზურაბ ზვიადაურს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზის – მოოქროვილი ქართული ხმალი გადაეცათ. 81 კილოში მესამე ადგილები გიორგი ბაინდურაშვილმა და ანტონი როდრიგესმა დაიკავეს.



გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ ოლიმპიური ჩემპიონის – ზურაბ ზვიადაურის (90 კგ.) გამოჩენას ტატამზე და მანაც არ გააწბილა ქომაგები. ზედიზედ სძლია უკრაინელ ანდრეი ბლოშჩენკოს, იაპონელ ტოშიჰირო იმაის, აზერბაიჯანელ ფარიზ რამიზზადეს და ფინალში ირაკლი ცირეკიძეს შეხვდა. ახალგაზრდა მეტოქემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ოლიმპიურ ჩემპიონს, თუმცა, პაექრობის დამთავრებამდე 42 წამით ადრე მაინც იპონით დამარცხდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში საინტერესო იყო ისიც, რომ მინდია ბოდაველმა ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლა იაპონელ იმაის სულ რაღაც 11 წამში მოუგო. ასევე, მესამე იყო საფრანგეთის გუნდის წევრი დავით ბოზუკლიანი.

შაბათს ერთ-ერთი ოქროს მედალი რუსეთელმა რომან მიშურამ დაიმსახურა. კვირას ჩრდილოელ მეზობელთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ასხაბ კოსტოევი (100 კგ.), რომელმაც ფინალში გიორგი გუგავა დაამარცხა იპონით. სამაგიეროდ, ამ წონაში ვერცხლთან ერთად ბრინჯაოს მედლებიც ქართველ ძიუდოისტებს – დიმიტრი ტურაშვილსა და ლევან რაზმაძეს ხვდათ.

მძიმე წონაში ფინალური ორთაბრძოლა ვერ ვიხილეთ, არადა, ჩვენი სახელოვანი ფალავანი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი დავითაშვილი და ახალგაზრდებში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ლაშა გუჯეჯიანი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ლაშამ პირველსავე წრეში რუს ანდრეი სელივანოვთან ჭიდაობისას დაიზიანა ხელი. ტრავმირებულმა ზვიად ჩინჩალაძის ეფექტური გდებით დამარცხებაც შეძლო, გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ კი იგი ექიმებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს. ოქროს მედალი, ცხადია, დავითაშვილს ერგო. მესამე ადგილებზე ივერი ჯიქურაული და იაპონელი ჰიროაკი ტაკაჰაში გავიდნენ.

მომავალ შაბათ-კვირას ქართველი ძიუდოისტები პარიზში მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: ზურაბ ზვიადაური და ეიგო ნოსე ქართული ხმლებით; ასპარეზობის მომენტი.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

სტუდენტური სპორტი

# აქ ჩემპიონები იზრდებიან

**სპორტული პროფილის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისთვის საამაყოა, პრესტიჟულ ფორუმებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე მისი სტუდენტების მიერ უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა, ხოლო, როდესაც ამგვარ მიღწევებს განსხვავებული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც „უშინაურდებიან", ეს უდიდეს სიხარულთან ერთად, სასიამოვნო გაკვირვების გრძნობასაც ბადებს!**

**– საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალი ჩამოყალიბების დღიდანვე გამოირჩევა განსაკუთრებულად მაღალი სასწავლო დისციპლინით,შესაბამისად,სტუდენტთა აკადემიური მომზადების მაღალი დონით, რაც სისტემატიურად მტკიცდებოდა „სტუდენტური დღეების" ეგიდით გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების დასკვნით ეტაპზე (ფილიალის სტუდენტები სიამაყით ყვებიან იმის შესახებ, რომ, მაგალითად, მათ მარტო ერთ, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, აღნიშნულ სამეცნიერო კონფერენციებზე, უფრო მეტი მიღწევები გააჩნია, ვიდრე, ზოგიერთ სხვა უმაღლესი სასწავლებლის ყველა ფაკულტეტს, ერთად აღებულს!) ... თუმცა, მხოლოდ აგრარულ სფეროში წარმატებანი არ დაუსახავს მიზნად აგრარული უნივერსიტეტის ფილიალის ახალგაზრდა კოლექტივს...**

**ვესაუბრებით საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის სტუდენტებს: ლევან პარწიკანაშვილს, 2004 წლის მსოფლიო „სუპერსთარ – ჩემპიონს" (ჩემპიონთა ჩემპიონი) (I.B.S.F-ის ვერსია), მსოფლიო აბსოლუტურ ჩემპიონს (W.B.F-ის ვერსია), კავკასიის პირველობის აბსოლუტურ ჩემპიონს, კარატეს ლეგენდარული ოსტატის – „მასუტასუ ოიამას თასის" მფლობელს, 2004 წლის მსოფლიო საუკეთესო მებრძოლს (I.B.S.F-ის ვერსია) და ლევან თუშიშვილს – 2004 წლის მსოფლიო ვიცე- ჩემპიონს (I.B.S.F-ის ვერსია) და მსოფლიო აბსოლუტური კატეგორიის ვიცე-ჩემპიონს (W.B.F-ის ვერსია)კონტაქტურ (FULL CONTACT) კარატეში:**

**– როგორც მოახერხეთ არასპორტული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა ასეთი გრანდიოზული შედეგის მიღწევა?**

**ლევან პარწიკანაშვილი:** – ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფილიალის დირექტორისა და იმავდროულად, კარატეში პირადად ჩვენი მასწავლებლის, პროფესორ კახაბერ მარკოზაშვილის დამსახურებაა, რომელიც გვასწავლის ამ ურთულესი საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოებებს...

**ლევან თუშიშვილი:** – ჩვენი მასწავლებელი, იმის გარდა, რომ ძალიან მკაცრი, მომთხოვნი და დისციპლინის ზედმიწევნით დამცველია, პარალელურად, ობიექტური პიროვნებაა და ეს თვისებები, ჩვენთან მიმართებაში, ჯამში ქმნიან კიდევაც აღნიშნულ შედეგს.

**– როგორც ამბობენ, სასწავლებელში დისციპლინის მხრივ ზედმეტი სიმკაცრეა; ეს რა, კარატეს გავლენაა?**

**ლ. თ.:** – მეცინება ხოლმე, ფილიალში არსებულ დღევანდელ დისციპლინაზე ვინმე რომ წაიწუწუნებს... მე ერთხელ უკვე დავამთავრე ეს სასწავლებელი (ლევანი ეკონომიკის მაგისტრია, ახლა ღვინის ტექნოლოგიურზე სწავლობს – გ.პ), უნდა გენახათ, ჩემი „პირველი" სტუდენტობის პერიოდში რა „ყაზარმული" სიტუაცია გვქონდა... ამის გარეშე არ შეიძლება, მხოლოდ დისციპლინას მოაქვს წარმატებები... ისე, ნამდვილად იყო და არის ამ მხრივ კარატეს გავლენა სასწავლებელში.

**ლ.პ.:** – ჩვენი მასწავლებელი სულ იმას ჩაგვჩიჩინებს, რომ მხოლოდ წესრიგს და შრომას მოაქვს რეალური შედეგი, სხვები სწავლაში არიან გამორჩეულები, მე და ლევანი კი სპორტში . . .

**ლ.თ:** – (სიცილით) მე სწავლაშიც გამორჩეული ვარ შენგან განსხვავებით .

**ლ.პ.:** – სატრაბახოდ აქვს ბაკალავრისა და მაგისტრის წითელი დიპლომები, მაგრამ სამაგიეროდ, გასულ წელს, კარატეში მე ვაჯობე!

**– რამდენადაც ცნობილია, საბრძოლო ხელოვნების საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ თქვენი კლუბი „ბონსაი", მსოფლიოს 2004 წლის საუკეთესო გუნდად აღიარა...**

**ლ.პ.:** – ნამდვილად ასეა, მაგრამ მე უფრო სხვა მიზეზით მივანიჭებდი ჩვენს კლუბს და იგივ, ჩვენს სასწავლებელს, ვინაიდან ეს ორი სტრუქტურა განუყოფელია, მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წოდებას: ჩვენი მასწავლებლის ინიციატივით, „ბონსაის" ინსტრუქტორები, ანუ ფილიალის სტუდენტები, **მარტო თელავში მოქმედ კარატეს 5 სექციაში უფასოდ ვავარჯიშებთ 400-მდე მოწაფეს, მათ შორის – თელავის უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, ამას დავუმატოთ ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის და თვითონ ახმეტის სექციებიც... ამაში უფრო გვეკუთვნის პირველობა...**

**– „ბონსაის" საზღვარგარეთ „ჯვაროსნებს" უწოდებენ...**

**ლ.თ:** – ნამდვილი „ჯვაროსნები" ვართ! – შეჯიბრებებზე მსოფლიოში ყველაზე ლამაზი. ჭეშმარიტად მეომრული, სალაშქრო დროშა მიგვიძღვის, ზედ ჩვენი კლუბის სპორტული, ჯვრიანი უნიფორმებიც რომ ემატება ხოლმე, „მტრის რისხვად" ქცეული ლაშქარს ვემსგავსებით (იცინის)...

**ლ.პ.:** – ისე, მაგ „რისხვასაც" კარგად ვატეხთ ხოლმე თავს მოწინააღმდეგეებს . . .

**- როგორც ცნობილია, წლეულს, 7-9 ივლისს, თელავში მსოფლიო ჩემპიონატია დანიშნული კონტაქტურ კარატეში . . .**

**ლ.პ.:** ეს გრანდიოზული სპორტული ფორუმი საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის ეგიდით გაიმართება; 20 დღეა, რაც დავიწყეთ ამ, ჩვენთვის მეტად პასუხსაგები შეჯიბრისთვის მზადება. ჩვენი მასწავლებლის სიტყვებს ვიმეორებ: **„უკან დასახევი გზა მოჭრილია – ჩვენს უკან საქართველოა!"**

**– თქვენს ასეთ შემართებას თუ აქვს „გარედან" სათანადო მხარდაჭერა?**

**ლ.თ:** – სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ჩვენი კლუბის საპატიო პრეზიდენტის – პარლამენტის სპიკერის მოადგილის, ბატონი **მიხეილ მაჭავარიანის** გარდა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ერთადერთი ადამიანი – თელავის რაიონის ნამდვილად ღირსეული გამგებელი – **გოჩა მამაცაშვილია** მხოლოდ ჩვენი გულშემატკივარი, არადა, იმ სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც, თავისი დანიშნულებით, უბრალოდ ვალდებულნიც კი არიან ყურადღება მოგვაქციონ, თუნდაც ელემენტარული მხარში დგომის შემთხვევაში, ტრიუმფალურ სვლას მოვაწყობთ მსოფლიოში!

**ლ.პ.:** – კონკრეტული ბიზნეს-კომპანიებისა და კერძო პირების დახმარებით ვახერხებდით შეჯიბრებებზე გამგზავრებას და იქ წარმატებების მიღწევას, რაზეც მათ ყველას კიდევ ერთხელ ვუხდით უღრმეს მადლობას, მაგრამ, უბრალოდ გულდასაწყვეტი არის, ის რომ ელემენტარულად ვიტამინებისა და თუნდაც, სპორტული კვების, მედიკამენტების შესაძენი თანხაც არ გაგვაჩნდა, მთელი გასული წელი და მაინც ასეთ წარმატებებს რომ ვაღწევდით, იგივ მიხეილ მაჭავარიანის და გოჩა მამაციშვილის გარდა კაცი არ შემოგვხმიანებია... თუმცა, ისევ ჩვენი მასწავლებლის სიტყვებით ვხელმძღვანელობთ: **„გაჭირვება არსებობს იმისთვის, რომ შეამოწმო საკუთარი თავდადება, შეუპოვრობა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, იგი გეხმარება ამ ოცნების განსახორციელებლად!"**




***ვულოცავთ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის ახალგაზრდულ კოლექტივს, მის დირექტორს, პროფესორ კახაბერ მარკოზაშვილს აღნიშნულ წარმატებას, იმავდროულად, იმედს გამოვთქვამთ, რომ „თელავი- 2005" კონტაქტური მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ, სამაგალითო დონეზე ჩასატარებლად, მის საორგანიზაციო კომიტეტს, სახელმწიფო თუ კერძო ის სტრუქტურა, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის სამშობლოს ღირსეულად წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე, გვერდში დაუდგება და ამ სტუდენტ, „ჯვაროსან" ბიჭებს დაეხმარება ხუთჯვრიანი დროშის მორიგი ზეობის საქმეში.***

**გია პლატონიშვილი.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**1 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება – ასეთია თბილისის „დინამოს" კვიპროსული შეკრების საბოლოო შედეგი. კარგად გვესმის, რომ სეზონის სტარტზე ძნელია გუნდს დადებითი შედეგი მოსთხოვო, მაგრამ მეკარის და დაცვის პრობლემა რომ გადაუჭრელი რჩება, დაგვეთანხმებით, ამთავითვე თვალშისაცემია – კუნძულზე გამართულ ხუთ შეხვედრაში გაშვებული 12 (!) გოლი ბევრ რამეზე მეტყველებს. დასკვნითი სპარინგი გია გეგუჩაძის შეგირდებმა რუმინეთის „არჯეშთან" დათმეს – 2:3.**

* * *

**იტალია.** XXI ტური. „ატალანტა" – „იუვენტუსი" 1:2, „მილანი" – „ბოლონია" 0:1, „პალერმო" – „ინტერი" 0:2, „პარმა" – „უდინეზე" 1:0, „რომა" – „მესინა" 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი" – 50, „მილანი" – 42, „ინტერი" – 35, „უდინეზე" – 34, „რომა" – 33 ქულა.

**ბომბარდირი:** მონტელა („რომა") – 17 გოლი.

**შემდეგი ტური:** „იუვენტუსი" – „სამპდორია", „მესინა" – „მილანი", „ინტერი" – „ატალანტა", „უდინეზე" – „კიევო", „ლეჩე" – „რომა".

**ესპანეთი.** XXI ტური. „სევილია" – „ბარსელონა"0:4, „ნუმანსია" – „რეალი" 1:2, „ვალენსია" – „ბილბაო" 2:2, „ესპანიოლი" – „ბეტისი" 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი.** „ბარსელონა" – 51, „რეალი" – 44, „ვალენსია" – 37, „ესპანიოლი", „სევილია" – 35-35 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა") – 16 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა" – „ატლეტიკო", „რეალი" – „ესპანიოლი", „სოსიედადი" – „ვალენსია", „ლევანტე" – „სევილია".



**გერმანია.** XIX ტური. „ჰერტა" – „ბაიერნი" 0:0, „კაიზერი" – „შალკე" 2:0, „შტუტგარტი" – „ნიურნბერგი" 2:4, „ლევერკუზენი" – „ბოხუმი" 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი" – 38, „შალკე" – 37, „შტუტგარტი" – 34, „ლევერკუზენი" – 32 ქულა.

**ბომბარდირი:** მინტალი („ნიურნბერგი") – 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი" – „ლევერკუზენი", „ჰანზა" – „შალკე", „შტუტგარტი" – „კაიზერი".

კალათბურთი

# ზოგი ჭირი მარგებელია

**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ზაზა მაჩალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც კრიტიკულია. მის არყოფნაში ვაჟთა XIV ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორებმა კადრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ორიგინალურ ხერხს მიაგნეს და სასტვენი მოქმედ სპორტსმენს – სტუ-ს მოთამაშეს დავით ბერიშვილს ანდეს, რომელიც „მაქაბისა" და თელავის „ბურჯის" შეხვედრას გაუძღვა.**



მატჩის პირველი ნახევარი სტუმართა სნაიპერის აკოლაშვილისა (მას კვირას დაბადების დღე ჰქონდა) და დოლიძის ბენეფისად იქცა, რასაც ხელი თბილისელთა თავკაცის ჯამლეტ ხუხაშვილის დაგვიანებამაც შეუწყო. დისციპლინის მოყვარული დამრიგებლის გარეშე მისი შეგირდები, ეტყობა, სათანადოდ ვერ განეწყვნენ აუტსაიდერთან საბრძოლველად და ერთ ეპიზოდში სხვაობამ კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია – 54:35. უიმედო ვითარებაში პარტნიორები ბადრიძე-ვაშაკიძის დუეტმა აიყოლია და მასპინძლებმა მძიმე გამარჯვება მოიპოვეს – 92:89.

ტრადიციისამებრ, უშეღავათოდ ეკვეთნენ ერთმანეთს სტუდენტური დერბის – სტუ - თსუ – მონაწილენი. მართალია, ყველასაგან ბედის ანაბარა მიტოვებული მამუკა ტურაშვილის გუნდი ტრავმების ეპიდემიამაც დატანჯა, მაგრამ მთავარი მებრძოლი სული მას ისევ ამკობს. სწორედ ამის შედეგია, რომ მაისურაძე-მარხვაშვილის ძალისხმევით თსუ-მ მეტოქის სოლიდური უპირატესობის აღმოფხვრა მოახერხა და საბოლოოდ მხოლოდ საკუთარი შეცდომების გამო დამარცხდა – 94:101. პოლიტექნიკოსთაგან აღსანიშნავია ჯაფარიძის შედეგიანი თამაში (29 ქულა), რომელიც ხშირად მარტოდმარტო რჩებოდა მოწინააღმდეგის ფარქვეშ.

შენგელიასა და ორმოცაძის გარეშე შესამჩნევად გაუფერულდა „ავიამშენის" თამაში, რამაც რუსთავის „თუჯს" ერთ-ერთ ლიდერთან ტოლსწორად გამკლავების საშუალება მისცა. ფავორიტს მოკრძალებული წარმატება ხოშტარიამ და თორთლაძემ მოუტანეს – 80:70.

კვირასვე თბილისის „დინამომ" XIII ნავსიანი ტურის კიდევ ერთი მატჩი სოხუმელ სტუდენტებთან „ცალი ხელით" მოუგო – 117:74.

3 თებერვალს II წრის ფინიშზე ითამაშებენ: „დინამო" – „მაქაბი" (12 საათზე), „ავიამშენი" – სტუ (14 საათზე, ვერის ბაღში), „თუჯი" – სსუ (15 საათზე, რუსთავში) და „ბურჯი" – თსუ (15 საათზე, თელავში).

სადღეისოდ სატურნირო ცხრილის სათავეში 11-11 მოგებით თბილისური ტრიუმვირატია: „დინამო", „ავიამშენი" და სტუ.

სიახლე

# ჭიდაობა უფრო დინამიური გახდება

**დიდმის საჭიდაო ბაზა 1-4 თებერვალს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ჩემპიონატებს უმასპინძლებს. ორთაბრძოლები ფილას ახალი წესებით გაიმართება. ამის თაობაზე მასმედიის წარმომადგენლებს აუწყა ექსტრა კლასის არბიტრმა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ედიშერ მაჩაიძემ, რომელიც ამას წინათ რომში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) მიერ მოწყობილ მსაჯთა სემინარს ესწრებოდა. მაინც რა ცვლილებებს ითვალისწინებს ფილას ახალი წესები?**

– უწინდელი ორი სამწუთიანი პერიოდის ნაცვლად სამი ორ-ორწუთიანი (ჭაბუკებისთვის – წუთნახევრიანი) რაუნდი გაიმართება ნახევარწუთიანი შესვენებებით. ორ რაუნდს ვინც მოიგებს, გამარჯვებულად ის გამოცხადდება. თითო პერიოდის მოგების შემთხვევაში უძლიერესს მესამე ორწუთიანი მონაკვეთი გამოავლენს. ყოველ რაუნდში ნაადრევად შეწყდება ორთაბრძოლა, თუ რომელიმე მეტოქე ექვს ქულას მოაგროვებს, ერთ ხუთქულიან ან ორ სამქულიან გდებას შეასრულებს. ძალაში რჩება სუფთა მოგების წესი. ქულით ისჯება ხალიჩიდან თუნდაც უნებლიეთ ფეხის გადგმაც, ისევე როგორც მეტოქის წრიდან გაგდების მცდელობა.

– გაუქმებულია ჩოქბჯენით დასჯის წესიც. ჯვარედინი მოვლება (პერიოდის ნულოვან ფრედ დამთავრების შემთხვევაში) მხოლოდ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებისათვის დარჩა, ოღონდ ხელის გახსნა ქულით არ ფასდება (რაც უწინ დიდ დავას იწვევდა). შემკვრელმა 30 წამში გდება თუ ვერ შეძლო, ქულა მეტოქეს ეწერება.

– ძიუდოს მსგავსად, შემოვიდა დამამშვიდებელი წრე, რაც დამარცხებულს ჯილდოსთვის პაექრობის შანსს უტოვებს. გათამაშდება ორი ბრინჯაოს მედალი.



– არის სხვა ნიუანსებიც, – გვითხრა ედიშერ მაჩაიძემ, – რომელთა ცოდნა აუცილებელია როგორც სპორტსმენების, ისე არბიტრებისთვისაც, ამიტომ ქართველ მსაჯებს უკვე ჩავუტარეთ სემინარები. ახალი წესებით, ვფიქრობ, ჭიდაობა უფრო დინამიური გახდება. ეს აუცილებელი იყო, რომ მაყურებელი არ დაგვეკარგა.

არის ერთი სიახლეც: რომის სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საპლაჟო ჭიდაობაზე, რომელიც თანდათან პოპულარული ხდება ზღვისპირა ქალაქებში, იგი წესებით ახლოს დგას ქართულ ჭიდაობასთან, ამიტომ ნახერხზე შერკინების შეჩვეულთ ქვიშაზე ჭიდაობა არ უნდა გაგვიჭირდეს. ამ სახეობაში პირველ საერთაშორისო ტურნირს აპრილში ტუნისი უმასპინძლებს და იქ ბევრი რამ გაირკვევა.

**– ფილას პრეზიდენტსაც შეხვედრიხართ...**

– დიახ. რაფაელ მარტინეტი უწინდებურად არ მალავს ჩვენდამი კეთილგანწყობას. მხარდაჭერაც აღგვითქვა. ვუთხარი, რომ წლეულს ზარბეგ ბერიაშვილის, თემურ ყაზარაშვილის, ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირებს გავმართავთ. ფილამ ოთხივე შეჯიბრება თავის კალენდარში შეიტანა. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენთან ჭიდაობის პოპულარიზაციას.

* * *

**პრესკონფერენციაზე** ისიც შევიტყვეთ, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების (სამივე ასაკში) მთავარი მწვრთნელები გადაუყენებიათ, თუმცა ისინი ახლების დანიშვნამდე მოვალეობის შემსრულებლებად დაუტოვებიათ.

**ლექსო ცინცაძე.**

ჭრელაჭრულა

## მარატ საფინის ტრიუმფი

**მართალია, რუსეთელი მარატ საფინი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალის პირველ სეტში დიდი ანგარიშით – 1:6 – დამარცხდა „მასპინძელ" ლეიტონ ჰიუიტთან და ამით, როგორც ბევრმა მიიჩნია, გზა გადაიჭრა წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის პირველი, ძალზე პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონობისაკენ,**



**მაგრამ, აღმოჩნდა, რომ 25 წლის რუსეთელმა მოახდინა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და შემდეგ სამ სეტში მელბურნის კორტზე უბრწყინვალესი გამარჯვება მოიპოვა – 6:3, 6:4, 6:4. ორთაბრძოლა 2 საათსა და 45 წუთს გრძელდებოდა, მას, როგორც ტურნირის საზეიმო დახურვაზე აღინიშნა, ტრიბუნებიდან და სტადიონს გარეთ დადგმულ უზარმაზარ ეკრანებთან თვალს ადევნებდა გულშემატკივართა სარეკორდო რაოდენობა – 25 ათასამდე კაცი.**

მარატ საფინი უკვე მესამედ მოხვდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში. 2002 და 2004 წლებში ის შესაბამისად ტომას იოჰანსონთან და როჟე ფედერერთან დამარცხდა. ახლა კი, თითქოს „შური იძიაო", სწორედ პლანეტის ახლანდელი პირველი ჩოგანოსნის, შვეიცარიელი როჟე ფედერერის დამარცხებით გაიკვლია გზა ფინალისაკენ და აკი გაიმარჯვა კიდეც.

## ყველა „ოქრო" – რუსებს

**ასეთი რამ ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ექვს წელიწადში მესამედ მოხდა – ტურინში დამთავრებულ პირველობაზე ყველა ოქროს მედალს რუსეთელი სპორტსმენები დაეუფლნენ. პირველად ეს 1999 წელს პრაღაში მოხდა, შემდეგ კი 2003 წელს – მალმეში. იტალიაში გამარჯვება იზეიმეს ირინა სლუცკაიამ, ევგენი პლიუშჩენკომ, სპორტულმა წყვილმა – ტატიანა ტოტმიანინამ და მაქსიმ მარინინმა, ხოლო ცეკვებში ტატიანა ნავკასა და რომან კოსტომაროვის დუეტმა.**

თვენახევრის შემდეგ მოსკოვში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც რუსების მეტოქეებად, ევროპელების გარდა, გამოვლენ აშშ, იაპონიის, ჩინეთის, კანადის უძლიერესი მოციგურავეები. ამ დროს შეირჩევა მომავალი „თეთრი ოლიმპიადის" მონაწილენიც. ეს დიდი სპორტული დღესასწაული 2006 წელს ისევ ტურინში უნდა გაიმართოს.

## გაიმარჯვა პეტერ ლეკომ

**თანამემამულესა და ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო სუპერტურნირში მონაწილე ერთადერთ ქალთან – იუდით პოლგართან მე-13 ტურში ყაიმზე შეთანხმებამ უნგრელ პეტერ ლეკოს ამ დიდ ტურნირში გამარჯვება მოუტანა. არა და მას ფეხდაფეხ მისდევდა უძლიერესი ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი.**

თუმც ჯერ მე-12 ტურის შედეგების შესახებ.

ანანდიმ ძალზე პრინციპული და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ადამსთან. ინდოელმა მოჭადრაკემ მე-15 სვლაზე ხარისხი შესწირა და შემდეგ სულ მალე დაამარცხა მეტოქე. იუდით პოლგარმა კი ლამაზი შეტევით „ფარ-ხმალი დააყრევინა" სოკოლოვს. მოროზევიჩი შავებით მოთამაშე პონომარიოვთან დამარცხდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ შორტი - კრამნიკი, გრიშჩუკი - ვან ველი, ბრუსონი - სვიდლერი და ტოპალოვ-ლეკო.

მეცამეტე ტურის გადამწყვეტ პარტიაზე უკვე მოგახსენეთ. დასკვნითი ტური ერთადერთი „შედეგიანი" პარტიით აღინიშნა – მასპინძელმა ვან ველიმ დაჯაბნა შორტი.

დანარჩენ პარტიებში ისევ ყაიმები აღინიშნა. ადამსი გრიშჩუკს დაუზავდა, კრამნიკი – მოროზევიჩს, სვიდლერი – ტოპალოვს, სოკოლოვი – ანანდის, პონომარიოვი – ბრუსონს.



საბოლოოდ, მე-19 კატეგორიის სუპერტურნირზე დიდოსტატები ასევე განლაგდნენ: **პეტერ ლეკო** – 8,5, **ვიშვანათან ანანდი** – 8, **ვესელინ ტოპალოვი** – 7,5, **ვლადიმერ კრამნიკი, მაიკლ ადამსი, ალექსანდრე გრიშჩუკი, იუდით პოლგარი** – 7-7, **ლიუკ ვან ველი** – 6,5, **ლასარო ბრუსონი, რუსლან პონომარიოვი, პეტრე სვიდლერი** – 6-6, **ნაიჯელ შორტი** – 5,5, **ალექსანდრე მოროზევიჩი** – 4,5, **ივანე სოკოლოვი** – 3,5.

## ალბომი

### ყველას რამე აქვს



თბილისი, 1941 წლის 6 აგვისტო. სამამულო ომში წასვლის წინა წუთები, დავით გელაშვილი (ზის მარცხნიდან მესამე).

მოგვაწოდა ზაირა მჭედლიშვილმა.

## ◉ გიხაროდენ!

### ირაკლი – ოჯახის პირველი სიხარული

**– ბიჭი გვარის გამგრძელებელი, ქვეყნის დამცველი, მისი ფარი და მახვილია, გოგონა ნატვრის ახდენაა, ოჯახის დიასახლისი, კარგი შვილების აღმზრდელი... იყოს ისე, როგორც უფალი ინებებს, სულერთია, ოღონდ ლამარამ მშვიდობით მოილოგინოს, ამბობდა მისი მეუღლე, ჩემი ერთადერთი ვაჟი ოთარი.**



ამ დღეებში თბილისის № 5 სამშობიარო სახლში ლამარას ბიჭი შეეძინა – ირაკლი, ის ოთარის პირველი შვილია. მე და ჩემი მეუღლე ახალგაზრდა ოჯახს ხელს შევუწყობთ. თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი ოჯახის სიხარული გამეზიარებინა. მომწონს რუბრიკა „გიხაროდენ“, გვითხრა რედაქციაში მოსულმა თამარ არობელიძემ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ◉ ცოტაც გავიღიმოთ...



— ექიმო, ნუთუ სიკვდილი მელის?

— უარესი, ჩვენ გიმკურნალებთ.

* * *

იგი ისეთი მოსაწყენი იყო, რომ რეზინის ქალიც კი გაექცა...

* * *

— ახლახან დავინახე, როგორ ცდილობდა ერთი ახალგაზრდა, რომ თქვენი ცოლისთვის ეკოცნა.

— მერე, მოახერხა ამის გაკეთება?

— ვერა, ვერ შეძლო.

— ესე იგი, ის ქალი ჩემი ცოლი არ ყოფილა...

* * *

— გავიგე, რომ ვასიასთან კავშირი გაგიწყვეტია, მართალია? — ეკითხება დაშას დაქალი.

— მართალია, ჩემი ექიმი არ მრთავს ნებას.

— მაგრამ რა უფლებით ერევა ექიმი შენს პირად ცხოვრებაში?

— იგი ვასიას ცოლია!

* * *

სეირნობს ჩერჩილი ტემზის სანაპიროზე. მოულოდნელად ძველი ნაცნობი შეხვდა.

— როგორა ხარ, როგორ მიგდის საქმეები, როგორა გყავს ცოლი, შვილები? — ეკითხება ჩერჩილი.

— კარგად, სერ, — უპასუხებს ნაცნობი, — ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი, ახლახან მეათე შვილი შემეძინა...

— „ჰმ, — გაიფიქრა ჩერჩილმა, — მეც ძალიან მიყვარს ჩემი სიგარა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვიღებ მას პირიდან“.

## ◉ თეატრალური პრემიერა

# «თქვენ გგონიათ, ამატირებთ?! არ ავტირდები!»



**თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში შეკრებილ ხელოვნების მოყვარულთ ახალი სპექტაკლის – „მეფე ლირი თავშესაფარში“ – ხილვის საშუალება მიეცათ, რომლის ავტორია ოთარ ბაღათურია, ხოლო დამდგმელი რეჟისორი დავით ანდღულაძე.**

წარმოდგენაზე მიმავალ მაყურებელს უსათუოდ შექსპირის „მეფე ლირის“ მორიგი ინტერპრეტაციის ნახვის იმედი ჰქონდა. თუმცა, სწორედ აქ იყო ჩამალული ინტრიგა: სცენის შუაგულში ელვის პრესლის სიმღერის ფონზე მობილური ტელეფონით მოსაუბრე ასაკოვანი ქალბატონი, დამერწმუნეთ, არანაირად არ ჰგავდა შექსპირისეულ კორდელიას, მაგრამ ეს მხოლოდ მოულოდნელობათა დასაწყისი იყო. თურმე, მოქმედება არა შუასაუკუნეების ინგლისში, არამედ თანამედროვე საქართველოში, მოხუცთა თავშესაფარში მიმდინარეობდა.

პიესაში მძაფრი ოსტატური ხერხებითა და ღრმად გააზრებული ნიუანსებითაა ნაჩვენები დღევანდელი ყოფის ტრაგიკული სიმწარე.

თუ ძველად იმის წარმოდგენაც კი, რომ საქართველოში ასეთი რაოდენობით მიუსაფარი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანი იქნებოდა, შიშსა და განგაშს იწვევდა, დღეს ეს ჩვენი ცხოვრების სამწუხარო რეალობაა. ამ ხალხის დიდ ნაწილს ხანდაზმულები წარმოადგენენ, რომელთა ადგილი თავშესაფრებშიც კი შეზღუდულია.

სპექტაკლს ლაიტმოტივად სწორედ ასეთ ადამიანთა ტრაგიკული ცხოვრება გასდევს, რომლებსაც უკანასკნელი დღეების მშვიდად გატარების იმედსაც კი ართმევენ.

ყოფილი მსახიობი, თეატრიდან გამოგდებული, ოჯახს მოწყვეტილი ქალბატონი დოდო (მაია ზედგინიძე) თავის ხანდაზმულ „მეზობლებთან“ ერთად „მეფე ლირის“ დადგმას აპირებს. თუმცა, მათ წამოწყებას მოხუცთა თავშესაფრის ახალგაზრდა მეპატრონე შაკო (კახა გოგიძე) ეწინააღმდეგება. მას არათუ სრულებით არ აღელვებს უმწეოთა ბედი, მათ ხარჯზე გამდიდრებასაც კი აპირებს! შაკოსთვის ახლა ფულია ყველაფრის სათავე. საკუთარ ბიზნესში მარცხის განცდის შემდეგ, იგი თავშესაფრის ფართს საღამოობით დისკოთეკის ჩასატარებლად აქირავებს და ამერიკელებზე შენობის მიყიდვის შემდეგ (ეროტიკული თეატრის გასახსნელად), მოხუცთა ერთაწმინდაში „გარეკვას“ აპირებს.

„ახლა სულიერებას აღარ „ვაწვები“. რა მომიტანა თქვენმა სულიერებამ? თქვენ კი ნუ ინერვიულებთ, ბუნების წიაღში იქნებით. აქეთ მთა, იქით ტყე, ეკლესია, სასაფლაო“.

ქალბატონი დოდო მოხუცთა მხარდაჭერითა და სპექტაკლის დადგმით ცდილობს წინ აღუდგეს მეპატრონის „ბიზნესინტერესებს“, მაგრამ ეს არცთუ ისე ადვილია, რადგან ბრძანება „ზემოდანაა“ გაცემული.

ამ მხრივ სპექტაკლი უნებურად გვახსენებს ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“.

გაჟღერებულ პრობლემათა ფონზე მეტად აქტუალურია შვილების მიერ მშობლების ნებით თუ უნებლიეთ მიტოვება საზღვარგარეთ მუშაობის გამო. წარმოდგენაში ერთ-ერთი საკვანძო მომენტი სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება. ერთს შვილი ატყუებს, თითქოსდა ამერიკაში ფილმის გადასაღებად იყოს წასული, არადა სინამდვილეში ცათამბჯენზე ფანჯრების მრეცხავად მუშაობს... მეორე გმირს კი შვილთან განშორება სიცოცხლის ფასად უჯდება.

სპექტაკლში ყოფით პრობლემებთან ერთად მეტად ორიგინალურადაა ნაჩვენები საზოგადოების განსხვავებული ფენები – ყოფილი მსახიობი, რომელსაც უჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს; დამლაგებელი (ირინა ნიჟარაძე,), რომელიც გამოგდების შიშით, მუდმივ მუშაობაზეც კი მზადაა; КГБ-ს თანამშრომელი (ალეკო ალავიძე), რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ ქარხნის ბუღალტერი იყო; „სამაიას“ ლოთი სანდრო (აკაკი ხიდაშელი) – ინფარქტგადატანილი, მაგრამ გულში მეამბოხე ადამიანი, რომლის სიფხიზლეში მოზღვავებული ემოციებიც მას მეუღლესთან შერიგებისკენ უბიძგებს. მათი სიყვარულის რომანტიკული ამბავი პიესის ერთ-ერთი, ნათელი და ემოციური წერტილია.

წარმატებული აღმოჩნდა მსახიობთა ოსტატური გარდასახვა. მცირედი გრიმის საშუალებით, – მათ ასაკოვანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება ბრწყინვალედ წარმოაჩინეს.

რეჟისორი გააზრებულად იყენებს სცენური სივრცის სხვადასხვა საშუალებებს: მინისცენას, ტელეფონს, რომელიც ხანდაზმულთათვის ოჯახთან დაკავშირების უკანასკნელი იმედია; ფორტეპიანოს – ერთის მხრივ როგორც ინსტრუმენტს, მეორეს მხრივ კი მიტოვებული მამის სიკვდილის ადგილი; კანალიზაციის უზარმაზარი მილი სცენის თავზე ხაზს უსვამს თავშესაფრის სილატაკეს. მინის დაკეტილი კარი და მასთან მუდმივად ატუზული ადამიანები – არც შემოსასვლელია, არც გასასვლელი, უიმედოა მათი ყოფა...

ზუსტად შეურჩევიათ მუსიკალური გაფორმებაც. ელვის პრესლი, „ჰარდ როკი“, როკ-ენ-როლი მოქმედებებს ემოციურ დატვირთვასა და შარმს მატებდა.

...და ბოლოს, წარმოდგენის კულმინაცია: მოსახდენი მოხდა. როგორც ყოველთვის, მოვიდა „ის“ (ასეა ნახსენები ახალი მეპატრონე, გავლენიანი ბიზნესმენი), „უსაზღვრო ხელგაშლილობით“ (რაც მოხუცებისათვის სათამაშოების დარიგებაში გამოიხატებოდა), მოიხადა თავისი ვალი და ცხოვრებაში ისედაც დაკარგული ადამიანები „დასაკარგავში“ გააგზავნა.

ჩაკეტილ მინის კარებთან მდგომ მოხუცთვათვის ეს კარი აღარასოდეს გაიღება, მაგრამ უიმედობის ნისლში სინათლის შუქივით გაარღვია სანდროს მგზნებარე ხმამ, რომელსაც ადრე სასმელი ახშობდა!

ჩვენი აზრით, სპექტაკლი გამოვიდა, გაისმა მეფე ლირის მონოლოგი და ქედუდრეკელი კაცის სიტყვები: „თქვენ გგონიათ, ამატირებთ?!“

არ ავტირდები!

**ნინო ბერძნიშვილი.**

P. S. **თეატრის ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერთობის“ მესვეურთა ხელშეწყობით, საერთაშორისო ახალგაზრდულ ინსტიტუტ „თბილისის“ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები რეგულარულად დაესწრებიან სპექტაკლებს, რისთვისაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას უხდის მათ.**

## ◉ თანადგომა

### „კათარზისი“ გეპატიჟებათ



შაბათს, 5 თებერვალს, „კათარზისში“ ღია კარის დღეა. ყველას, ვისაც სურს, გემრიელად დანაყრდეს, შეუძლია, გვესტუმროს 11-დან 16 საათამდე აღმაშენებლის 121-ში.

თქვენი მასპინძელი იქნება „ავერსის ფირმა“.

## ◉ თითქმის ნატურიდან

# გამოცდა



ტაქსში ოთხნი ვსხედვართ – მძღოლი, მე და კიდევ ორი უცნობი მანდილოსანი. უჟმურ ხასიათზე ვარ. წუხელ, ეტყობა, დიმედროლიანი ღვინო მასვეს და კარგად გამოფხიზლება ვერ მოვასწარი.

– ბერმუდის სამკუთხედში შევდივართ, სკამებს მაგრად ჩაეჭიდეთ, – გვაფრთხილებს მძღოლი.

– გიყვართ ავტომანქანით ბერმუდის ტალღებში ყვინთვა? – ვეკითხები.

– მიყვარს რომელია, დღეში სამ-ოთხჯერ მაინც მიწევს მასში ყურყუმალაობა.

– და აქამდე არ ჩაძირულხართ?

– არა. ჩემი დაკვირვებით, უფრო „ჯიპები“, „ბეემვეები“ და „მერსედესები“ იძირებიან.

– რატომ, ხომ ვერ აგვიხსნით?

– რა ახსნა უნდა, მაგ მანქანებში, როგორც წესი, უფრო წონიანები სხედან.

– თანამდებობით თუ ფულით წონიანები?

– ზოგი – თანამდებობით, ზოგი – ფულით, ზოგიც – ორივეთი ერთად.

– თქვენ ნუ ინერვიულებთ, ქალბატონებო, – გადავულაპარაკე უკანა სავარძელზე მსხდომთ, – ჩვენ, მგონი, საშიშროება არ გვემუქრება.

– მალე ეს საშიშროება ყველას მოეხსენება, – თქვა ქერად შეღებილმა მანდილოსანმა.

– რას გულისხმობთ?

– არ გაგიგიათ? სამკუთხედს ორკვირიანი ვადა აქვს მიცემული, თუ გამოცდა ვერ ჩააბარა, სამუდამოდ, დაგვემშვიდობება.

– რატომ, კაცო? – იწყინა ტაქსისტმა, – მძღოლებს ერთი სახელჯომარდოღა შემოგვრჩა და მაგასაც გვართმევთ?

– ნუ გეშინიათ, – ვანუგეშე, – სამკუთხედი თუ გაუქმდა, სამაგიეროდ გვირაბი გაიხსნება.

– რომელი გვირაბი?

– ვარაზის ხევისა.

– იიჰ, მაგას იმდენი თანხა უნდა, ამ საუკუნეში არ მოესწრება.

– არც მასეა საქმე, – დავაიმედე, – ჯერ ერთი, მერია ბიუჯეტით ყელთამდე სავსეა, და მეორეც – გვირაბი სულ იოლად გაკეთდება.

– რატომ გგონია?

– იმიტომ, რომ კომუნისტებმა, როცა ამ ხევს აკეთებდნენ, შიგ უზარმაზარი მილები ჩატოვეს. საკმარისია, ხევის მხოლოდ თავი და ბოლო გაითხაროს და გვირაბიც უმალ ამოქმედდება.

– და მანქანები იმ უზარმაზარ მილებში ივლიან? – ტაში შემოკრა ტაქსისტმა, – ეს ხომ სამკუთხედზე გაცილებით საინტერესოა...

– ისე, თავიდანვე სამკუთხედის ნაცვლად ტრაპეცია რომ გაეკეთებინათ, – დავამატე მე, – გვირაბის გათხრაც აღარ დაგვჭირდებოდა.

– ტრაპეცია რაღა ჯანდაბაა, – დაინტერესდა ტაქსისტი.

– თქვენ რა, სკოლაში გეომეტრიას არ გასწავლიდნენ?

– როგორ არა, მაგრამ ვერ ვიხსენებ. აი სამკუთხედიც მაშინღა გამახსენდა, როცა ბერმუდის მაცდურ ტალღებში ცურვა ვისწავლე.

– კარგია, რომ ისწავლეთ, მაგრამ ამჯერად მგონი არასწორად მიცურავთ, – შენიშნა ქერა ქალბატონმა, როცა ფილარმონიის შენობას გავუსწორდით.

– აა, თქვენ მგზავრობა რუსთაველის გავლით გსურდათ? – შეიცხადა მძღოლმა.

– რა თქმა უნდა, თუ შეიძლება, საჭე მარჯვნივ აიღეთ.

– ადრევე უნდა გეთქვათ, ქალბატონო, – აბუზღუნდა მძღოლი – ეს ბერმუდია, კუს ტბა ხომ არა გგონიათ?

– კუს ტბაზე თქვენ წაბრძანდით, ჩვენ კი აქ ჩამოვალთ, – იწყინეს მანდილოსნებმა და ტაქსისტი იმით დასაჯეს, რომ მგზავრობის ფული არ გადაუხადეს.

მე მძღოლი შემეცოდა და სამკუთხედის შემოსავლელად მეორე გზობაზე გავყევი. გულკეთილობა ძვირად დამიჯდა – სამსახურში მთელი საათნახევრით დავაგვიანე და უფროსისგან სასტიკი საყვედური ავიკიდე.

საყვედურს არ ვნანობ, უფრო იმ ქალბატონების საქციელი მაფიქრებს. მეეჭვება, რომ ისინი „სამკუთხედის“ ავტორის მოგზავნილები არ იყვნენ. კარგი მეთოდია, ტაქსისტებს ამ გზით ჩამოიცილებენ, „მარშრუტკების“ მძღოლებს – გაჩერებების დაწესებით. „ბერმუდი“ გახალვათდება, „სამკუთხედი“ გამოცდას გაუძლებს და ჩაძირვას გადაურჩება!

**ოთარ ხუციშვილი.**

## გახსენება

### კოტე ზაქარაია



შარშან, 2 თებერვალს, 71 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ძირძველი სოხუმელი კოტე ზაქარაია.

ახლობელი კაცის გარდაცვალება ყოველთვის დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული როგორც ოჯახის წევრების, ისე მეგობრებისთვის, მაგრამ, კოტეს გარდაცვალებით მიყენებული ტკივილი და მწუხარება მაინც განსაკუთრებულია სწორედ მეგობრებისთვის, ვინაიდან ის იყო განუმეორებელი ადამიანი, რომელსაც ყოველი ჩვენგანის ცხოვრებისეული ყოფითი პრობლემები გულთან მიჰქონდა ისე, როგორც საკუთარი. ჩვენგან კი საზღაურად მხოლოდ გულწრფელობას და ერთგულებას ითხოვდა. ასეთები კი მას მართლაც ბლომად ჰყავდა.

ბატონმა კოტემ კაცური ცხოვრებით იცხოვრა. სადაც მას უმუშავია – აფხაზეთის პროფსაბჭოს იურისტად, აფხაზეთის რესპუბლიკურ პროკურატურაში. ქ. სოხუმის მოსამართლედ, ქ. სოხუმის პროკურორად, აფხაზეთის ა/რ საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ, ქ. სოხუმში კონტროლის პალატის თავმჯდომარედ და, ბოლოს, 25 წელზე მეტი – აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავისი ობიექტურობითა და პრინციპულობით.

მისმა წასვლამ დააცარიელა დიდი სამეგობრო ადგილი, რომელიც ვერავინ შეავსო. სამწუხაროდ, ისეთი სისპეტაკის მეგობრობა, როგორიც მას სჩვეოდა, არც ერთ ჩვენგანს ალბათ, არ შეგვძლებია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ლამაზი სული, ჩვენო კოტე!

**სიყვარულით ახლო მეგობრები: ღუდა აბსანძე, ტერენტი სულხანიშვილი, ირაკლი ცინცაძე, გია ქოიავა, ჯონი ლატარია, კოკი სანაია, რეზო წირღვავა.**

---

მეუღლე ნაზი კიწმარიშვილი, შვილები ლალი, გოჩა, რძალი ნატო მეტრეველი, შვილიშვილები სოფო, ნინო, ქეთევანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ათანასეს ძე ჩიქვინიძე

პანაშვიდი 1, 2 II 16 სთ, დაკრძალვა 3 II 14 სთ. მის: ვ. ბაგრატიონის 5, I ბლოკი, III სართული.

---

მეუღლე ლიანა ვარაზაშვილი, შვილები მაკა, დათო, რძალი ქეთი ქობულია, სიძე მერაბ მამაცაშვილი, შვილიშვილები ირაკლი კახიძე, თემურ, გივი მამაცაშვილები, ქრისტინე, ანასტასია ახვლედიანები, ძმა გურამ ახვლედიანი ოჯახით, ძმისწულები ნინო, გოგი, ზურაბ ახვლედიანები ოჯახებით, ცოლისდა ლუიზა ვარაზაშვილი ოჯახით, მძახალი მანანა გედევანიშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი დავითის ძე ახვლედიანი

პანაშვიდი 30, 31 I, 16 სთ. პასტერის ქ. № 7 ა, III სად. III სართ., გამოსვენება 1 II, 14 სთ, ვაკის წმინდა სამების ტაძრიდან (ჭავჭავაძის გამზ). დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

---

ეთერ ქემერტელიძე მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი, უკეთილშობილესი პიროვნების

გივი ახვლედიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი და ზურაბ მარგველაშვილები უთანაგრძნობენ დავით ახვლედიანს მამის ღირსეული პიროვნების

გივი ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სამძიმარს უცხადებს სამინისტროს რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსს ბატონ ანზორ კეკელიძეს ბიძების

მიხეილ და მაკარე მელქაძეების

გარდაცვალების გამო.

## კოლეგის ხსოვნას

### გივი ჩიქვინიძე



თვლა აღარა აქვს, იმდენ ძვირფას ადამიანს ვაცილებთ მარადიულ სასუფეველში. უფროსი თაობა ხომ მიდის და მიდის... დაგვტოვა გივი ჩიქვინიძემაც – 81 წლის ასაკში დაგვემშვიდობა ჩვენი შესანიშნავი კოლეგა – ათეული წლების განმავლობაში ჯერ გაზეთ „კომუნისტის“, შემდეგ კი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამორჩეული ჟურნალისტი.

გამორჩეული იყო ბატონი გივი აღნაგობით, კეთილშობილებით, ლბილი იმერული ხასიათით, ხოლო მისი კალამი ყოველთვის მწვავე იყო მრავალი ცხოვრებისეული პრობლემის მიმართ.

ბაღდათელ-დიმელ ყმაწვილს არც დედით ობლობა დაჰკლებია, არც სამამულო ომის ფრონტი და არც ათასი ყოველდღიური გაწამაწია, მაგრამ იგი ყოველთვის ინარჩუნებდა შესანატრ ადამიანურ თვისებებს და კაცობის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდებს.

პროფესიით იურისტმა, მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაც რომ დაამთავრა, 1959 წლიდან რესპუბლიკის უმთავრეს გაზეთში დაიწყო მუშაობა და საქმისადმი ერთგულებით, პუბლიკაციებით თანამშრომელთა პატივისცემა და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. ასე იყო იგი დიდხანს – ერთგულად ემსახურებოდა ქართულ სიტყვას.

წავიდა ძვირფასი კოლეგა და ადამიანი, დატოვა ჩინებული ოჯახი, უამრავი მეგობარი და დამფასებელი, წავიდა თავისი სამშობლოს უკეთესი დღეების იმედით...

ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები.**

## ხსოვნა

### გივი ახვლედიანი



ქართველ მეღვინეთა რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი მეღვინე, სააქციო საზოგადოება „ვაზიანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გივი ახვლედიანი, დარგის პროფესიონალი, მრავალი რაციონალური წინადადებისა და 5 გამოგონების, მათ შორის მშრალი სამარკო ღვინის „ბახტრიონი“ და ცქრიალა ღვინის ავტორი, შესანიშნავი პიროვნება, დიდებული მოქალაქე, მეოჯახე და მეგობარი.

გივი ახვლედიანი დაიბადა 1930 წელს ქ. თბილისში სახელგანთქმული მეღვინის ბატონ დავით ახვლედიანის ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1961 წელს კვების მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტი სპეციალობით „მეღვინეობის ტექნოლოგია“.

შრომითი მოღვაწეობა ბატონმა გივიმ დაიწყო ქ. ბუხარის ღვინის ქარხანაში ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობაზე. სხვადასხვა წლებში მუშაობდა წინანდლის, ვანის, ბოლნისის, ქისტაურის და საგარეჯოს ღვინის ქარხნებში მთავარ მეღვინის თანამდებობაზე. 1964-69 წლებში თბილისის შამპანური ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე. 1969-73 წლებში მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად, იყო საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრი. 1965-85 წლებში არჩეული იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

1973-82 წლებში მუშაობდა საკავშირო მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის „მაგარაჩი“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსად, განყოფილების უფროსად.

1982 წელს დაინიშნა „საქსახაგრომრეწვის“ სუვენირულ ნაკეთობათა კომბინატის დირექტორად, რომელსაც 1989 წელს ეწოდა სამრეწველო-კომერციული ფირმა „ვაზიანი“, ხოლო 1992 წელს ერთხმად იქნა არჩეული სააქციო საზოგადოება „ვაზიანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ბატონი გივი დაჯილდოებულია მედლით შრომითი მამაცობისათვის, დიდი ოქროს მედლით 1965 წელს მსოფლიო ღვინის კონკურსის ჩატარების ორგანიზაციისათვის.

ბატონი გივი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, კოლეგიალობით, აღსავსე იყო სიკეთით და კეთილშობილებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი გივი ახვლედიანის ლამაზი სული.

**ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“.**

---

### გივი ახვლედიანი



გარდაიცვალა ბატონი გივი ახვლედიანი, კეთილშობილი, დარბაისელი ადამიანი, რომლის საზოგადოებრივმა საქმიანობამ თავისი კვალი დატოვა იმ სფეროში, სადაც მოღვაწეობდა. განათლებით მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგმა რამდენიმე ქარხანა ააშენა და ამ სფეროში მრავალი სიახლე დანერგა. ასეთივე გულისხმიერებით თანამშრომლობდა საქართველოს კულტურის ფონდში, როგორც პრეზიდიუმის აქტიური წევრი, ყველა წამოწყებისა და ღონისძიების მხარდამჭერი და მონაწილე.

საქართველოს კულტურის ფონდი გულისტკივილით იუწყება ბატონი გივის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე მერაბ ბერძენიშვილი.**

---

### ოთარ მოედინის ძე თედორაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ოთარ მოედნის ძე თედორაძე.

ოთარ თედორაძე დაიბადა 1954 წლის 29 მაისს, აჭარის ა/რ ქედის რაიონის სოფ. საცხოვრისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1970 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგზაოსაინჟინრო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1975 წელს, რის შემდეგაც დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და ხუთი წლის განმავლობაში მუშობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

1980 წლის სექტემბერში ბატონი ოთარი ჩაირიცხა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. ქ. მინსკში უშიშროების უმაღლესი კურსების გავლის შემდეგ მსახურობდა მოლდოვაში, ხოლო 1985 წლიდან სამსახური გააგრძელა აჭარაში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. ბატონმა ოთარმა გაიარა რთული და საპატიო გზა რიგითი ოპერრწმუნებულიდან აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე.

პოლკოვნიკი ოთარ თედორაძე გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და კომპეტენტურობით, იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით, გამოცხადებული აქვს მადლობები.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika